# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 13 ივლისი, 2011 წელი.

№130 (6741)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ③ ერი, ქვეყანა და ეკლესია განსაცდელშია...

შევიკრიბოთ და გონებით, დარბაისლურად მივიღოთ გადაწყვეტილება...

## ავერსი-რევერსი – ერთეულების სიმდიდრე და ერთეულების ძალაუფლება სხვების ჯანმრთელობის ხარჯზე ⑥



## ნინო დარბაისელი: შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაც კი უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე „საბას“ ჟიურის, ასე ვთქვათ, ინკოგნიტო წევრების ბნელი საქმიანობა ⑦



# წმინდა სინოდის სხდომის ოქმი

**სხდომის თავმჯდომარე – ილია II –**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს– პატრიარქი**
**სხდომის მდივანი – გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) – ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი**
**სხდომის თანამდივნები – ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) – ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი, საბა (გიგიბერია) – ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი**

I. 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (დანართი №1). სინოდის სხდომაზე გამოითქვა საერთო უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ, მიუხედავად კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებისა, კანონის მიღება მოხდა საქართველოს საპატრიარქოსთან და საზოგადოებასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, რაც საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირთა და მრავალრიცხოვანი მრევლის მღელვარების მიზეზი გახდა. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით წმინდა სინოდმა იმსჯელა და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანი, ისევე როგორც რელიგიური გაერთიანებები, თანასწორია კანონის წინაშე. რელიგიური აღმსარებლობების თავისუფლება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ რელიგიურ გაერთიანებას ეკუთვნის საქართველოს ესა თუ ის მოქალაქე. საქართველოს კონსტიტუციითა და კონსტიტუციური შეთანხმებით, რომლებიც ქართველი ხალხის ნებას გამოხატავს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი არ ზღუდავდა სხვა რელიგიურ გაერთიანებათა აღმსარებლობის თავისუფლებასა და კანონის წინაშე თანასწორობას.

**მიემართოს საქართველოს ხელისუფლებას:**

ა) მომავალში რელიგიასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ანალოგიური საკითხების განხილვისას წინასწარი კონსულტაციები გაიმართოს საქართველოს საპატრიარქოსთან, რათა, აღნიშნული თემის სიფაქიზიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თავიდან იქნას აცილებული შესაძლო გართულებები.

ბ) დაიწყოს სამთავრობო მოლაპარაკებები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიების სტატუსსა და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

გ) სახელმწიფომ გაააქტიუროს თავისი საქმიანობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ეროვნული და სულიერი კულტურის ძეგლების მოვლა–პატრონობასთან დაკავშირებით.

დ) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რელიგიური პოლიტიკა და სხვა ქმედებები აღიარებულ იქნას უკანონოდ.

ე) შეიქმნას კომისია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

3. წმინდა სინოდი მოუწოდებს სასულიერო პირებს და მრევლს სიმშვიდისკენ და, მიუხედავად მღელვარების მიზეზებისა, თავი შეიკავონ ყოველგვარი თვითნებური ქმედებებისგან და გააძლიერონ ლოცვა ერის ერთობისა და მშვიდობისათვის.

* * *

II. წმინდა სინოდმა მოისმინა მოხსენება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II (ბაგრატიონი) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და

**გ ა ნ ა ჩ ი ნ ა:**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II აღიარებულ იქნას წმინდანად და ეწოდოს მრავალვნებული ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი ხსენება დაწესდეს 21 დეკემბერს (ახალი სტილით 3 იანვარი).

ასევე დაიწეროს წმინდანის ხატი და შეიქმნას შესაბამისი საღვთისმსახურო განგება.

III. წმინდა სინოდმა იმსჯელა სასულიერო პირთა მიერ ზნეობრივი ნორმების დარღვევის ფაქტებზე და

**გ ა ნ ა ჩ ი ნ ა:**

შეიქმნას ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა);
2. გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი).

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი 11.07.2011

## 26 მაისის ღამის ყველაზე ამაღელვებელი ფოტოები ზურაბ ქურციკიძის გადაღებულია ②



## ხელისუფლება იჭერს გამოგონილი ღალატისთვის, დრო ასამართლებს ნამდვილისთვის... ③

## 310-ე ③ ქართული სირცხვილი

## ყველაზე მასშტაბური ეკოსარჩელი სტრასბურგში – საქართველოდან

ნავთობის ამოფრქვევის შედეგად ჯანმრთელობა შელახული ასობით მოქალაქე სამართალს ევროპაში ეძებს ④



SIC!

# რაღა მაინცდამაინც სინოდის სხდომის დროს მოუნდა სოსო თოფურიძეს საპატრიარქოში „მეგობარი მღვდლების“ მონახულება?!

**წმინდა სინოდს რელიგიების სამართლებრივი სტატუსის შესახებ პარლამენტის მიერ 5 ივლისს მიღებული კანონის გაუქმება არ მოუთხოვია.**

სინოდის სხდომა საპატრიარქოს შენობაში გაიმართა. მაშინ, როცა წმინდა სინოდის წევრები პარლამენტის მიერ 5 ივლისს მიღებულ კანონზე მსჯელობდნენ, საპატრიარქოს შენობაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე სოსო თოფურიძე იმყოფებოდა. „ობიექტივის“ მიერ მოპოვებული ეს ინფორმაცია, მოგვიანებით მეუფე სერაფიმმა (ჯოჯუა), „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ყოფნისას დაადასტურა. მეუფე სერაფიმის განმარტებით, სოსო თოფურიძე სინოდის სხდომას არ დასწრებია — ის საპატრიარქოში „მეგობარ მღვდლებთან“ იყო მისული და იმ სართულის ქვევით იმყოფა, სადაც სხდომა მიმდინარეობდა.



„ობიექტივის“ მიერ მოპოვებული კიდევ ერთი ინფორმაციით, 10 ივლისს, საპატრიარქოში თბილისის მერი გიგი უგულავა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გამუკა ახვლედიანი იყვნენ მისულები. **უგულავა პატრიარქთან ძალიან ხმამაღლა საუბრობდა იმაზე, რომ პარლამენტი 5 ივლისს მიღებულ კანონს არავითარ შემთხვევაში არ გააუქმებდა. უგულავას აწეული ხმა ყვირილში და შენობით მიმართვებში მაშინ გადაიზარდა, როცა ის პატრიარქის გარეშე იქ მყოფ სასულიერო პირებს და, მათ შორის, სინოდის წევრებს ესაუბრა. უგულავა მათ შენობით მიმართავდა და უყვიროდა, რომ 5 ივლისს მიღებულ კანონს არავითარ შემთხვევაში არ გააუქმებდნენ.**

„ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში მეუფე სერაფიმმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ უგულავა და ახვლედიანი მართლაც იყვნენ საპატრიარქოში და თბილისის მერმა მართლაც თქვა ის, რომ პარლამენტი 5 ივლისს მიღებული კანონის გაუქმებას არ აპირებდა.

სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ, სინოდის წევრებიდან მხოლოდ ორმა გააკეთა კომენტარი იქ მყოფ მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან — მეუფე იობმა და მეუფე სერაფიმმა. ჩვენი ჟურნალისტი ვერ მოესწრო, რა თქვა მეუფე იობმა და ამიტომ, ამაზე ჩვენ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ სინოდის განჩინების შესახებ მეუფე სერაფიმმა გააკეთა განმარტება — სინოდი მოითხოვს 2002 წელს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების ამოქმედებას და კანონქვემდებარე აქტის მიღებას, რომელშიც ჩაწერილი იქნება, რომ მართმადიდებელი ეკლესია და საქართველოში მოქმედი სხვა ეკლესიები და რელიგიური დაჯგუფებები ერთმანეთთან გათანაბრებულები არ იქნებიან.

სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ, საპატრიარქოდან პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე ძალიან ნაწყენი სახით და ჩვენი აზრით, უკმაყოფილო სახით გამოვიდა — მან არც ჟურნალისტებთან გააკეთა კომენტარი და არც იქ მყოფ მრევლთან.

სანამ სინოდი გადაწყვეტილებას მიიღებდა, სინოდის წევრებთან ერთად 5 ივლისს მიღებული კანონის ავ-კარგზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია მსჯელობდა.

**ნინო მიქიაშვილი**

ბრიფინგი

# თინათინ ხიდაშელი: ამ საქმეს დაუყოვნებლივ უნდა მოეხსნას საიდუმლო გრიფი!



**რესპუბლიკური პარტია აპროტესტებს ხელისუფლების მორიგ უპასუხისმგებლო ქმედებებს ფოტორეპორტიორების დაკავების საქმეზე.**

**„რამდენიმე დღეა, ყველანი უშედეგოდ ველით რაიმე დასაბუთებულ, არგუმენტირებულ და მტკიცებულებით გამაგრებული მასალის გამოქვეყნებას, რომელიც ნათელს მოჰფენდა ამ საქმეს, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა, — სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით ფოტორეპორტიორების საქმე, სხვა მრავალი შემთხვევის მსგავსად, სახელისუფლებო ისტერიის მორიგი გამოვლინებაა. ეს საქმე პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო ანგარიშსწორებას უფრო ჰგავს, ვიდრე პასუხისმგებლობით აღსავსე და ქვეყანაზე მზრუნველი უწყების მიერ ქვეყნისთვის საფრთხის აცილების წარმატებულ შემთხვევას“.**

თინათინ ხიდაშელი მიმართავს ხელისუფლებას, გონივრულად მოეკიდოს ფოტორეპორტიორების საქმეს და სამართლიან და გამჭვირვალე რეჟიმში წარმართოს გამოძიება, ვინაიდან ამ საქმემ უკვე გამოიწვია მაღალი დაინტერესება საერთაშორისო დონეზე.

**„არსებობს ლეგიტიმური ეჭვი, რომ ანგარიშსწორება 26 მაისის კადრების გავრცელებისთვის მოხდება. მაღალია ქართული საზოგადოების უნდობლობა „ჯაშუშების“ საქმეების მიმართ და სერიოზული საფრთხე ექმნება ქვეყნის რეპუტაციასა და საფრთხეს.**

**სრული კატეგორიულობით ვაცხადებთ, რომ როდესაც ადამიანებს ამგვარ უმძიმეს ბრალდებებს უყენებენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საზოგადოება დარწმუნებული იყოს მათ უტყუარობაში“.**

თინათინ ხიდაშელის თქმით: „გაუგებარია და მიუღებელია იმ სატელეფონო ჩანაწერების სტატუსი, რომელიც გამოქვეყნდა, და რომელიც აბსოლუტურად არაფერს კანონსაწინააღმდეგოს და მით უფრო — ჯაშუშობის დამადასტურებელს არ შეიცავს.

სრულიად აღმაშფოთებელია და შეურაცხმყოფელია მოსმენა კიდევ ერთი აღიარებისა, რომელიც პატიმრობაში მყოფი და, სავარაუდოდ, მეუღლის გათავისუფლების სანაცვლოდაა მიღებული.

შემაშფოთებელია და სახიფათო ტენდენციას ატარებს მოჭარბებული აღიარებები ქართულ სატელევიზიო სივრცეში, რომელიც სინამდვილეში სამართლებრივად არაფერს ნიშნავს, თუმცა უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობა აქვს და ადამიანების რეპუტაციის ნგრევასა და შანტაჟს ემსახურება“.

რესპუბლიკური პარტია აცხადებს, რომ „დაუშვებელია ადამიანის დაპატიმრება აღიარებითი ჩვენების გამო; დაუშვებელია მტკიცებულებად გამოდგეს რაიმე სატელეფონო საუბარი, სადაც დანაშაული საერთოდ არ ჩანს და უფრო მეტიც, ადამიანი დაჟინებით მოითხოვს „ჯაშუშისგან“ საბანკო ანაგარიშის გახსნას;

დაუშვებელია მედიის წარმომადგენლების კოლექტიური დაპატიმრების საქმეს საიდუმლოს გრიფი დაედოს, მაშინ როდესაც ქვეყანა განებივრებულია ასეთ საქმეებზე ფილმებითა და სერიალებით“.

რესპუბლიკური პარტია მხარს უჭერს „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ მოთხოვნებს და მიაჩნია, რომ აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან მათი გათვალისწინება. თინათინ ხიდაშელის თქმით, აუცილებელია მედიის მხარდამჭერთა რიგებს კიდევ მრავალი ჟურნალისტი შეუერთდეს.

**„ასევე უმნიშვნელოვანესია, სწორედ ამ საქმის ფონზე ყველა დაინტერესებულმა ადამიანმა სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლის გადახედვა მოვითხოვოთ, რათა გამოირიცხოს ისეთი აბსურდული და ფართო სუბიექტური ინტერპრეტაციების შესაძლებლობა, რასაც მისი დღევანდელი რედაქცია მოიცავს“.**

რესპუბლიკური პარტია მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, ყველა ძალისხმევა მიმართოს იმისთვის, რომ საქართველოში უკანონოდ და ანგარიშსწორების გამო გასამართლებული ადამიანების არმიას კიდევ ოთხი პირი არ შეემატოს, ხოლო ქვეყანაში საბჭოური რეპრესიების დაწყების შიშმა არ დაისადგუროს.

**ნატა ნიბლაძე**

ინფორმაცია

# სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა საპატრიარქოს მხარდაჭერა დააფიქსირეს და ორი სამუშაო ჯგუფი შექმნეს

**ზურა ვაზაგაშვილის სახელობის დარბაზ „ჯაზუში“ შეკრებილმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა საქართველოს საპატრიარქოს პოზიციის მიმართ მხარდაჭერა დააფიქსირეს და მიიღეს გადაწყვეტილება, შემდეგი მოქმედების მიზნით ორი სამუშაო ჯგუფი შეიქმნას.**

პირველი ჯგუფის შემადგენლობაში ნანა დევდარიანი, ევალინა დავითულიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, ლევან ღვინჯილია, იური ვაზაგაშვილი, ჰენრი ყარაშვილი, ფერდინანდ ლორთქიფანიძე და გია შერვაშიძე შევიდნენ, რომლებიც საპატრიარქოს საინფორმაციო და საკოორდინაციო საკითხებზე იმუშავებენ.

მეორე ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, ზაზა ხატიაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, როინ ხიჯაკაძე, კობა კაპანაძე, გელა ნიკოლაიშვილი კი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის სამართლებლივ შეფასებაზე იმუშავებენ.

**პირველი**

რეზონანსი

# EPA - 26 მაისის ღამის ყველაზე ამაღელვებელი ფოტოები ზურაბ ქურციკიძის გადაღებულია

**26 მაისის ღამის ყველაზე ამაღელვებელი ფოტოები ზურაბ ქურციკიძის გადაღებულია. როგორც გამოცემა „ლიბერალი“ იუწყება, ამის შესახებ სააგენტოს მთავარმა რედაქტორმა სენგიზ სარენმა განაცხადა.**

**სარენის თქმით, მათ მოიძიეს ის ექვსი ფოტო, რომელზეც სავარაუდოდ უნდა საუბრობდეს გიორგი აბდალაძე.**

— ასეთი ფოტოები ნამდვილად არის და ეს ჩვენი თბილისელი ფოტოგრაფის ნამუშევრების მხოლოდ ერთი ნაწილია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ფოტოები, რომელიც საქართველოს ყველაზე მეტად შეიძლება აღელვებდეს, არის ზურაბის გადაღებული და არა ირაკლის, — განაცხადა სარენმა.

მისივე თქმით, უკვე გასცა მითითებები, რათა მოგროვდეს ყველა დოკუმენტი, რაც ზურაბ ქურციკიძის საქმიანობას უკავშირდება. სააგენტო აზუსტებს, რა ფოტოებია ბიუროში თბილისიდან გადაგზავნილი, როდის და რა ოდენობის ჰონორარი აქვს გადახდილი ამ მასალაში EPA-ს. სარენი აღნიშნავს, რომ ეს ფოტოები მათ 200 კლიენტს და 11 ევროპულ ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნა.

**— თუკი მხოლოდ ეს ფოტოები გახდა ფოტორეპორტიორების დაპატიმრების მიზეზი, ჩვენ მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოვითხოვთ. თვალს ვადევნებ ამ ამბავს და მინდა აღვნიშნო, რომ საქმის დეტალები ძალიან ბუნდოვანია. ამ ფოტოებიდან, ოთხი ყველაზე დრამატული ფოტო ზურაბ ქურციკიძის სახელით მივიღეთ. დანარჩენი ორი ხელმოწერილია STR-ს მიერ. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, ვისი გადაღებულია ეს ორი ფოტო, ირაკლის თუ რომელიმე სხვა ფოტორეპორტიორის,** — აცხადებს სარენი.

ფოტორეპორტიორებს შორის სატელეფონო ზარების თაობაზე კი სარენი აღნიშნავს, რომ, ჟურნალისტებს, რომლებიც EPA-სთვის ფოტოებს იღებენ, ამისთვის უხდიან.

**— განა ფაქტი, რომ ზურაბი ბანკის ანგარიშის დეტალებს ითხოვს, იმას არ მიუთითებს, რომ ეს ტრანზაქცია ფარული არ იყო?** — აცხადებს სარენი.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ სააგენტოს ჯერჯერობით ქართველი სამართალდამცავები არ დაკავშირებიან.

თუმცა, ამასობაში, ჩვენ საქართველოდან სიძულვილისა და მუქარის შემცველ ანონიმურ წერილებს ვიღებთ. არც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და არც პროკურატურა მას ჯერჯერობით არ დაკავშირებია. EPA ამ საქმესთან დაკავშირებით ადვოკატების დაქირავებას და შეგროვილი მასალების ქართული მხარისთვის გადმოგზავნას აპირებს, — აცხადებს EPA-ს მთავარი რედაქტორი.

ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი გედენიძე და გიორგი აბდალაძე ჯაშუშობის ბრალდებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა 7 ივლისს დააკავა. აბდალაძის განცხადებით, მათი დაკავების მიზეზი ის ფოტოები გახდა, რომლებიც 26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე გადაიღეს.

მონიტორინგი

# სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ბრალდებული ფოტორეპორტიორები მოინახულეს

**სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კვლავ მოინახულეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 38 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული, 7 ივლისის ღამეს დაკავებული ფოტორეპორტიორები გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძე და ირაკლი გედენიძე.**

სამივე ბრალდებულმა აღნიშნა, რომ მათ მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რაიმე სახის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. მათი განმარტებით, მათ ნახულობს ექიმი, — აცნობეს „მედიანიუსს“ ომბუდსმენის აპარატიდან.

ამავე უწყების ცნობით, გ.აბდალაძე და ზ.ქურციკიძე ითხოვენ მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გასაჯაროებას და აღნიშნული მოთხოვნით გ.აბდალაძე აგრძელებს შიმშილობას.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ის მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს. შესაბამისად, შეუძლებელია ჩვენი მხრიდან შეფასდეს საქმის მასალების გასაიდუმლოების მიზანშეწონილობა და კანონშესაბამისობა. ამავდროულად აღნიშნული საქმის გამოძიების მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული პირები ფოტორეპორტიორები არიან, მნიშვნელოვანია გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მიერ მოხდეს იმ დოკუმენტების საქმის სხვა მასალებისაგან გამიჯვნა, რომელიც არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას. აქვე აღსანიშნავია, რომ საქმის მასალათა ნაწილი თავად გახადა საჯარო გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ. შესაბამისად, თუ დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია საჯარო გახადოს საქმეში არსებული რომელიმე მტკიცებულება, აუცილებელია გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მხრიდან ზუსტად მოხდეს კონკრეტული მტკიცებულების შეფასება და მისი საიდუმლოების საკითხის გადაწყვეტა.

სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი განაგრძობს დაკავებული პირების მდგომარეობის მონიტორინგს.

**მედიანიუსი**

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების მიმართვა

# ერი, ქვეყანა და ეკლესია განსაცდელშია...

## შევიკრიბოთ და გონებით, დარბაისლურად მივიღოთ გადაწყვეტილება...

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ქრისტიანულ სიყვარულსა და სათნოებაზე დაფუძნებული ერთობაა და თუ არა ერის, ქვეყნისა და ეკლესიისათვის განსაკუთრებული მოვლენა, არ იყენებს საეკლესიო მრევლისა და ქვეყნის მოსახლეობისათვის პირდაპირი მიმართვის ფორმას.

**ჩვენ ვთვლით, რომ დღეს, სწორედ რომ დღეს, განსაკუთრებული ჟამი უდგას ერსაც, ქვეყანასაც და ეკლესიასაც.**

**სწორედ დღეს არის ბერისა და ერის, ერისა და ბერის ერთობა გადამწყვეტი ჩვენი წარსულისა და მომავლის გადარჩენისთვის.**

**ის რაც ბოლო ორი დღის განმავლობაში მოხდა** — საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე, დაჩქარებული წესით დაამტკიცა ქვეყანაში მოქმედი რელიგიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი — **შეურაცხყოფას აყენებს საქართველოს ყოველ მოქალაქეს, მიუხედავად მისი ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობისა.**

**შეურაცხმყოფელია კანონიც და კანონის მიღების ფორმაც. შეურაცხმყოფელია ის, რომ ცხადი გახდა საქართველოს ხელისუფლების მზაკვრული გარიგება ქართველი ხალხის, მართლმადიდებელი ეკლესიისა და მართლმადიდებელი მრევლის ზურგსუკან: ერის სულიერი მამის, ილია მეორის ხელით გაეკეთებინა ის, რისი სურვილიც ჰქონდა და, როცა ეს ვერ შეძლო, სრული იგნორირება გაუკეთა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მის საჭეთმპყრობელს და დაჩქარებული ტემპით, დემონსტრაციულად მიიღო ის, რასაც პატრიარქმა საშიში უწოდა ქვეყნისა და ეკლესიისთვის.**

პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივით დემონსტრაციულად მოხდა ის, რასაც **სომხური ეკლესია** და **გარეგინ მეორე** ითხოვდნენ და რის მიღებასაც **ქართული ეკლესია** და **ილია მეორე** ეწინააღმდეგებოდნენ.

საზოგადოებაში დღემდეც საუბრობდნენ საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა ფარისევლობაზე ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში. ბოლო დღეებმა ეს განსაკუთრებული ხაზგასმით დაადასტურა.

**ქვეყანა რეალურად აღმოჩნდა განსაცდელში. ჩვენ დაგვაკარგვინეს არა მხოლოდ ტერიტორიები, არამედ, გვართმევენ ქართულ ცნობიერებას, გვართმევენ ქართული ეკლესიის ერთიანობას, პირდაპირ ვთქვათ, მიდის გეგმაზომიერი მუშაობა ქართველობის გადაგვარების, საქართველოს მოსახლეობისათვის გენოციდის მოწყობის მიზნით.**

**ჩოხოსნობა, ჩოხოსანი ღირსებასთან, სწორედ რომ, ეროვნულ ღირსებასთან, სწორედ რომ ქართულ ცნობიერებასთან იყო და არის დაკავშირებული და, დღევანდელი დღეს, მართლაც ღირსების დაკარგვის ტოლფასია.**

**ჩვენ გვაძლიერებს ის, რომ ქვეყნისათვის ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელია მთელს მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტის მქონე ილია მეორე და ჩვენი ღირსების საქმეა, ვიდგეთ ღვთივმოვლენილ ჩვენს პატრიარქთან, ვიდგეთ საქართველოსთან.**

**ჩვენ ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ ერის, ქვეყნის და მართლმადიდებლობის გადარჩენა — ღირსებისთვის ბრძოლასთან არის დაკავშირებული.**

**გვწამს და გვჯერა, რომ ქართველი კაცი, საქართველოს ყოველი მოქალაქე, მიუხედავად მისი ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობისა, ერთად ვიქნებით ქვეყნის ღირსებისათვის ბრძოლაში.**

ჩვენ მოკრძალებით, ულრმესი პატივისცემითა და მართლმადიდებლური სიმდაბლით მივმართავთ ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების, განათლების, მედიცინის, სპორტის მოღვაწეებს - სწორედ იმ ხალხს, რომელიც ყოველთვის მეწინავეობდა ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ღირსებისათვის, შევიკრიბოთ პეტრე-პავლობის ბრწყინვალე დღესასწაულს და გონებით, დარბაისლურად მივიღოთ საქართველოს ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება.

**საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების სახელით, უხუცესთა საბჭო:**

**მინდია სალუქვაძე, ომარ მხეიძე, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, თემურ გუგუშვილი, სოსო ქოიავა, ალექსანდრე ჩადუნელი, გურამ შენგელია, ოთარ ხარჩილავა, თამაზ ჯალაღანია, გულო ანანიაშვილი, ბორის ბოქოლაშვილი, შალვა წიკლაური.**

2011 წლის 8 ივლისი

განსაკუთრებული პოზიცია

# ხელისუფლება იჭერს გამოგონილი ღალატისთვის, დრო ასამართლებს ნამდვილისთვის...

**ხელისუფლება ებრძვის თავისუფლებას ადამიანში, ებრძვის ადამიანების თავისუფლებას: ციხით, შიმშილით, დაშინებებით, დამსმენლებით, თვალთვალით, ჯაშუშად გამოცხადებით... ეს არის სტაბილურობა და დემოკრატია ქართულად, სამწუხაროდ, ქვეყნის გარედან ბევრის მიერ მხარდაჭერილი. დრო საქართველოს ნამდვილ უცხოელ მეგობრებსაც დაგვანახვებს.**

**აივსო ციხეები საქართველოს მოქალაქეებით, საქართველოშიც და ქვეყნის გარეთაც.** საქართველო რომ ყოველ 1000 ადამიანზე პატიმართა რაოდენობით პირველ ადგილზეა - **ეს არავის უკვირს** მთელს მსოფლიოში... ჩვენ პირველ ადგილზე რომ ვართ უცხოეთის ქვეყნებში ქართველ პატიმართა რაოდენობის მიხედვითაც, ესეც ფაქტია... **ავსტრიის ციხეში ყოველი მესამე პატიმარი საქართველოს მოქალაქეა. საქართველოსა და უცხოეთში საქართველოს მოქალაქე პატიმართა რაოდენობა, ალბათ, უკვე 60 ათასს აჭარბებს.** სააკაშვილისთვის გვიჭერენ ქვეყანაშიც და ქვეყნის გარეთაც. **ეს ნამდვილი ტრაგედიაა.**

**საქართველოში ამ უბედურებას ისიც რომ ემატება, რომ ხალხი შიმშილობს, არც ეს არის მოაზროვნე ადამიანებისთვის საკამათო. უკვე არც იმაზე ვკამათობთ, რომ ალბათ 2 მილიონამდე საქართველოს მოქალაქე წავიდა ქვეყნის გარეთ მათხოვრული შრომით ფიზიკური ჯანმრთელობა რომ გადაირჩინოს და გადაარჩინოს საქართველოში დარჩენილი ერთი-ორი ახლობელიც.**

**ეს ხელისუფლება ეკლესიას რომ ეძგერა, დიდი ხანია, ეკლესიის მნგრეველებსა და ეკლესიის წინააღმდეგ მომართულთ რომ აწინაურებს — ესეც ფაქტია...** სამწუხაროდ, **ფაქტია ისიც,** რომ ეს ხელისუფლება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე შეტევით უცხოეთის გარკვეული პოლიტიკური და ფინანსური ძალების დიდ მხარდაჭერას იღებს. „ხომ ხედავთ, რელიგიური ფუნდამენტალიზმის ქვეყნის პრეზიდენტი ვარ და დამეხმარეთო“ — **ეს არის სააკაშვილის მთავარი მზაკვრული გზავნილი უცხოეთის ე.წ. თანამედროვე ლიბერალებისთვის...** გავიხსენოთ აშშ ელჩის და ევროკავშირის ელჩის განცხადებები: როგორ წაახალისეს 25-26 მაისს სააკაშვილი და მისი ხელისუფლება „სახალხო კრების“ წინააღმდეგ საქართველოს ხალხი რომ სისასტიკით დაესაჯა და როგორ დაუჭირეს მხარი სააკაშვილს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიღებულ კანონზე ხელმოწერის შემდგომ. მინდა ვიფიქრო, რომ ელჩების ამ პოზიციას ბევრი მომხრე არ ჰყავს ამერიკასა და ევროპაში.

**ეს ხელისუფლება, ხალხს იჭერს სამშობლოს ინტერესების ღალატისთვის. მოაზროვნე ადამიანები დღესაც ხედავენ და დრო გაცილებით მეტად დაადასტურებს იმას, რომ სწორედ ამ ხელისუფლებამ გაყიდა საქართველოს ინტერესები:**

- **საქართველო საქართველოს აღარ ეკუთვნის, გაიყიდა ყველაფერი: მიწაც, მიწაში და მიწის ზემოთ არსებულიც, გაიყიდა ხელისუფლების სინდისიც;**
- **ეს ხელისუფლება** განცხრომით ცხოვრობს და ხალხი შიმშილობს;
- **ეს ხელისუფლება** ძაბავს მდგომარეობას კავკასიაში;
- **ეს ხელისუფლება** მუდმივად სხვის ომში იბრძვის;
- **ეს ხელისუფლება** ხელოვნურად ძაბავს ურთიერთობას რუსეთთან და ქვეყნის მთელი სიმდიდრე რუსეთის სახელმწიფო კომპანიებს ჩააბარა;
- **ამ ხელისუფლების** პერიოდში ბიუჯეტში შესული ყოველი ლარი 20 თეთრის საქმეს აკეთებს, 35-40 თეთრი სააკაშვილის სკამის გამაგრებას ემსახურება, 45-40 თეთრი კორუფციულია. ეკონომიკა მკვდარია და ბიუჯეტში შესული თანხის 70-80 % მოსახლეობის ჯიბიდან ამოდის და ამ ფულის ამოღებაში სააკაშვილს რუსული სახელმწიფო კომპანია „ინტერ რაო“ ეხმარება... მსოფლიო ისტორიამ რომ არ იცის, ესეც ჩვენთან ხდება: ნაგვის გადასახადსაც კი ეს ხელისუფლება რუსულ სახელმწიფო კომპანია „ინტერ რაოსთან“ აკავშირებს;
- **ამ ხელისუფლებამ** 2008 წლის 8 აგვისტოს, უაზრო გასროლით ქვეყანა სისხლისღვრაში შეიყვანა და მაშინ, როცა ჯარს, ხალხს და ქვეყანას ხელისუფალის გამბედაობა, ზნეობრივი და მორალური მაგალითი სჭირდებოდა — პრეზიდენტმა უზნეობა აჩვენა — მიწაზე დაწვა;

**„მოქკავშირ-აღორძინება — ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების** ხელში ქვეყანას ეკონომიკა არ აქვს და მოჩვენებისთვის გაწეული ხარჯების უკვე დეკლარირებულმა ვალმა 12 მილიარდს მიაღწია.

**სურათის გადაღება კი არა, სწორედ ეს არის ქვეყნის ინტერესების ღალატი, რომლისთვისაც ეს ხელისუფლება ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ უნდა გაასამართლოს, რომ მომავალში აღარავის გაუჩნდეს სურვილი, მსგავსი რამეები აკეთოს და პრეზიდენტი და მთავარსარდალი იყოს, რომ მომავალში მშიშარამ ვერ შეძლოს პრეზიდენტად და მთავარსარდლად გაძრომა და ხალხის დათრგუნვა დაჭერებით, ხალხის თავზე პოლიციის დასმით.**

**ის საკამათო ნამდვილად არ არის, რომ დრო და მომავალი ამ რეჟიმს გაასამართლებს, როგორც ჩვენი სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ამბობს: „ის ვინც ამცირებს ეკლესიას, აუცილებლად დაისჯება...“**

**ჩვენი ღირსების საქმეა, დღევანდელმა საქართველომ შეძლოს ამ სისხლიანი რეჟიმის გასამართლება.**

ახალი პოლიტიკური ძალის
„თეთრი მოძაობის“ (თეთრები)
დამფუძნებელთა სახელით
**თემურ შაშიაშვილი**

**განთავსებულია ვებ.გვერდზე www.tetrebi.org**

ჩვენ

# 310-ე ქართული სირცხვილი

**ახლა არ თქვათ, ვერ მივხვდით, ეს სათაური რას ნიშნავსო.**

პრინციპში, თუ კარგად დავთვლით, 310 კი არა, კაი ათასხუთასიც არის, მაგრამ რადგანაც ზუსტი აღრიცხვა ჯერ არ გაკეთებულა (უკაცრავად, „მონიტორინგი“ უნდა მეთქვა), ამიტომ ჯერჯერობით ამ ნომრით აღვნიშნოთ ის მორიგი სირცხვილი, რაც...

რა მაგის პასუხია, და ერთი ანეკდოტი გამახსენდა:

ინგლისში პოლიციელ ქალებს ასწავლიან, რომ თუ მას მოძალადე თავს დაესხა, მაშინ პოლიციელმა ქალმა:

1. ჯერ სიტყვიერი გაფრთხილებით უნდა სცადოს მისი შეჩერება.
2. თუ სიტყვიერმა გაფრთხილებამ არ გაამართლა, მაშინ ხელკეტი უნდა გამოიყენოს.
3. თუ მოძალადეზე ხელკეტმაც არ იმოქმედა, მაშინ ცეცხლსასროლი იარაღით უნდა შეაჩეროს.
4. და თუ მოძალადე მაინც არ დაშოშმინდა, მაშინ პოლიციელ ქალბატონს ეძლევა რეკომენდაცია, რომ მან თვალები დახუჭოს და სრულად მიიღოს სიამოვნება.

გავაგრძელო წერილის წერა?

ნამდვილად არ გავაგრძელებდი, რომ არა ის ერთი კითხვა, რაც საქართველოს პარლამენტის აქამდე უცნობ და აწ უკვე საქართველოს ისტორიაში შესულ იმ 70 წევრს მინდა დავუსვა, რომლებმაც 2011 წლის 7 ივლისს, იუდეის პროკურატორის პილატე პონტოელის სასახლესთან შეკრებილი ბრბოს აღტკინება გაიმეორეს და 1978 წლის შემდეგაც „ჯვარს აცუ იგი“ არა მხოლოდ დაიძახეს, სულის გაყიდვა დოქტორ ფაუსტივით თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს.

არადა კითხვა ძალიან მარტივია:

**— რა შეიძინეთ იმ ჯამაგირიდან, რომელიც დღევანდელმა კაიაფამ გადაგიხადათ?**

ახლა არ მითხრათ, შვილებს შიოდათ და ორიოდე ხმიადი, ერთი თევზი და „ნატახტარის“ ლიმონათი მივიტანეთ ოჯახშიო.

კიდევ ერთხელ მოვიხდი ბოდიშს მკითხველთან იმის გამო, რომ ტექსტში შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი სიტყვები, ან ფრაზები, რომლებსაც ჩვენი კანონმდებლები ნამდვილად ვერ გაიგებენ (მაგ: „ხმიადი“, „კაიაფა“, „პილატე პონტოელი“, „დოქტორი ფაუსტი“, „ჯვარს აცუ იგი“ დ.ა.შ. მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილს ისინი, ვისაც „კეისარი უნაკლო ჰგონია“, არ წაიკითხავენ. არ წაიკითხავენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ წერა-კითხვა საერთოდ არ იციანძ.

არადა მეც რატომ ვბრაზდები?

იქნებ ერთი კილო შაქარი იყიდეს ჩაიში ჩასაყრელად?

ან იქნებ ერთი კილო ფორთოხალი უყიდეს შვილებს?

ან დენზე მიბმული ნაგვის ფული გადაიხადეს?

სრულიად შესაძლებელია, რომ რამდენიმე გაჭირვებული დააპურეს.

ღმერთო შენ უშველე ყველა გაჭირვებულს!

სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა გავარკვიო, თუ რაში დახარჯავენ ივლისის ხელფასს და აუცილებლად მისაღებ პრემიას საქართველოს პარლამენტის წევრები.

განსაკუთრებით მაინტერესებს იმ სანთლების რაოდენობა, რომლებსაც ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი და ბატონი გიგი წერეთელი „შეიძენენ“ ივლისის ხელფასიდან.

ამ წერილში არ ვილაპარაკებ არც წმინდა სინოდის სხდომის შესახებ.

იხ. 4 გვ.

მაზუთის წვიმა — ნინოწმინდაში

*ნიკოლოზ თედიაშვილი — პრეასთმა, ნავთობპროდუქტებთან კონტაქტი; ნელი ქალაქურაშვილი — ბრონქოპნევმონია, ნავთობპროდუქტების ტოქსიკური ეფექტი; ეთერ კერატიშვილი — ალერგიულ-კონცენტრული დერმატიტი; ნინო ლაღოძაშვილი — ნავთობით ინტოქსიკაცია, მწვავე ბრონქიტი; ცისმარ ნადირაძე — ნავთობის ამოფრქვევისგან გამოწვეული ალერგიის შედეგად გაუთეთრდა კანი და თმა გასცვივდა... სია უსაშველოდ გრძელია. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მსხვერპლი გახდნენ 2004 წლის 10- 12 სექტემბერს საგარეჯოს რაიონში სოფელ ნინოწმინდაში № 100 ჭაბურღილის დაზიანების შედეგად ამოფრქვეული ნავთობისა და სხვა თანამდევი ნივთიერებებისა. მავნე ნივთიერებები მთელი სამი დღის განმავლობაში რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე იფრქვეოდა და ასე ვთქვათ „მაზუთის წვიმა“ მოდიოდა, რომელმაც 400 ჰექტარამდე მიწის ფართობი და ირგვლივ მყოფი სოფლები დააბინძურა. გამძაფრდა ინტოქსიკაციები, გახშირდა დაავადებები და სიკვდილიანობა. დღემდე უჩივის მოსახლეობა წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას, რაც მათ ჯანმრთელობაზე, მოსავალზე აისახება.*

# ყველაზე მასშტაბური ეკოსარჩელი სტრასბურგში – საქართველოდან



## ნავთობის ამოფრქვევის შედეგად ჯანმრთელობაშელახული ასობით მოქალაქე სამართალს ევროპაში ეძებს

თუმცა ამის გამო მათთვის ბოდიშიც კი არავის მოუხდია. მთელი ოთხი წელიწადი დასჭირდა მოსახლეობას იმისთვის, რომ სასამართლოში შპს „ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია — ნინოწმინდის“ წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვა დაწყებულიყო. ახსნა უმარტივესია: ამ შპს, ანუ „კანარგო-ჯორჯიას“, დღეს უკვე „ვისოლის“ ერთ-ერთი თავკაცი მოწილე პრეზიდენტ სააკაშვილის ძმაა. ბუნებრივია, საქალაქო სასამართლომ მოსახლეობის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა: თითოეული მოსარჩელე მორალური და მატერიალური ზიანის სანაცვლოდ 50 ათას ლარს ითხოვდა. ეს ძალიან მაღალი ფასიაო, უთქვამს მოსამართლეს, თუმცა, ჯანმრთელობის სანაცვლოდ ყველას თავისი ფასი აქვს(!).

2004 წლის დეკემბერში მოსახლეობამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს, მაგრამ მთელი ოთხი წლის განმავლობაში დავა მხოლოდ იმაზე გრძელდებოდა, ვისი პრეროგატივა იყო საქმის განხილვა: საგარეჯოს რაიონული სასამართლოსი განსჯადი იყო, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოსი. საბოლოოდ საქმე ამ უკანასკნელს გადაეცა, თუმცა განმხილველი მოსამართლე არაერთხელ შეიცვალა.

**საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელიც ამ მრავალტომიან საქმეში დევს. მოპასუხე მხარის წარმომადგენელი ნონა ყაველაშვილი ახსნა-განმარტებაში წერს: „თუ გავითვალისწინებთ იმ ფონს, რომ მოსარჩელეები კომპენსაციას ფულადი სახით ითხოვენ და ამ კომპენსაციის მოთხოვნილი ოდენობა საკმაოდ მაღალია (საქართველოს მასშტაბით), შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს სამედიცინო შემოწმების წინ ხელმისაწვდომი ნავთობპროდუქტებით განზრახ ინტოქსიკაციას, ან სხვა არასათანადო ქმედებას“.**

**ანუ სასამართლომ არ გამორიცხა, რომ მოსარჩელეებს ჯანმრთელობის ცნობის აღების წინ თავი მოეწამლათ(!). პარადოქსია.**

არადა, 2008 წლის სახალხო დამცველის ანგარიშშიც აისახა ნინოწმინდის ჭაბურღილზე მომხდარი ამოფრქვევის შედეგები. დასკვნაში ნათქვამია **„როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ომბუდსმენის აპარატს აცნობა, შპს „კანარგო-ჯორჯიას“ ნავთობბაზის ფუნქციონირებისას გარემოზე ზემოქმედების ამსახველი არავითარი დოკუმენტაცია არ გააჩნია. მსგავსი საქმიანობისთვის ნებართვა გარემოს დაცვის სამინისტროს არ გაუცია. შესაბამისად, „კანარგო-ჯორჯიამ “ თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე“.** გამოიწვია კიდეც: პატარძეულში, ნინოწმინდაში, გალმაუზანსა და წყაროსთავში მცხოვრებნი ასეთი კატასტროფის მსხვერპლი არიან: „კანარგო-ჯორჯიას“ პასუხისმგებლობა კი იმით შემოიფარგლა, რომ მოსახლეობას იმ წლის მოსავლის ზარალი აუნაზღაურა და 9 თვე წყალს უსასყიდლოდ უზიდავდა...

თუმცა ქართული სასამართლოსთვის ზემოთ მოყვანილი ფაქტები სრულებითაც არ აღმოჩნდა საკმარისი. სარჩელი არ დააკმაყოფილა თბილისის საქალაქო სასამართლომ. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს სააპელაციო და საქართველოს უზენაესმა სასამართლოებმაც. არც ერთმა ინსტანციამ არ გაითვალისწინა სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2005 წლის 26 სექტემბრის დასკვნა, რომლის თანახმადაც, წყალში ნავთობპროდუქტების რაოდენობა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს 45-ჯერ აღემატებოდა. „სასმელი წლის ყველა ნიმუშში აღინიშნა ჯამური ნავთობპროდუქტების სხვადასხვა, მათ შორის, ჯანმრთელობისთვის მავნე კონცენტრაციების არსებობა... სასმელი წყალი არასაიმედოა და აუცილებელია სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ალტერნატიული წყაროს მოძიება“, — ნათქვამია დასკვნაში.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სამმა მოსამართლემ წინა ინსტანციების განაჩენი უცვლელად დატოვა და 2010 წლის 18 ნოემბრის ვერდიქტით საქმეც დაიხურა.

სიმართლის პოვნის წყურვილით იმედგაცრუებული დარჩა 2 ათას 420 ადამიანი, რომელთა ინტერესებს აბსოლუტურად უსასყიდლოდ იცავდა „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“. თუმცა ბრძოლა ასე მარტივად არ დამთავრებულა. ერთი თვის წინათ ცენტრმა საჩივარი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გააგზავნა. საქმე წარმოებაში უკვე მიღებულია.

2500-მდე მოქალაქე საქართველოს წინააღმდეგ – ფულად კომპენსაციას მოითხოვს, რომელიც ჯამში რამდენიმე მილიონს აჭარბებს. „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ადვოკატი **ნიკოლოზ მჟავანაძე** ამბობს, რომ დარღვეულია კონვენციის რამდენიმე მუხლი — **„სასამართლოში ნინოწმინდის კატასტროფასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი — სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება. დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი ყველანაირი გონივრული ვადა (სარჩელის შეტანიდან გადაწყვეტილების მიღებამდე ოთხ წელზე მეტი გავიდა, როცა ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა). მოსამართლე ბესიკ სივსივაძემ, ფაქტიურად, გააყალბა საქმის მასალები: მან ზეპირად დააკმაყოფილა ადვოკატ მირიან ნიკოლეიშვილის შუამდგომლობა — ავარიასა და მოსარჩელეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, თუმცა სხდომის ოქმში საპირისპირო ჩაწერა. საქმეც ისე დაიხურა, რომ ექსპერტიზა არც ერთ მოსამართლეს არ დაუნიშნავს. შესაბამისად გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი.**

**ასევე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი — პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება“.**

სხვათა შორის, მსგავს სარჩელზე — **„ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“, 2005 წელს ადამიანის ევროპულმა სასამართლომ ასეთი რამ დაადგინა: „თუნდაც დავუშვათ რომ, დაბინძურებას მისი (ფადეევას) ჯანმრთელობისთვის გაზომვადი ზიანი არ მიუყენებია, აღნიშნულის შედეგად იგი, სულ მცირე, უფრო დაუცველი გახდა სხვადასხვა დაავადებებისადმი. ამის გარდა, უეჭველია, რომ დაბინძურებამ უარყოფითად იმოქმედა მისი ცხოვრების ხარისხზე საკუთარ სახლში. ამიტომ სასამართლო იზიარებს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობისა და ნორმალური ყოფისთვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანი აღწევს იმ დონეს, რაც აუცილებელია კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში მოსახვედრად“.**

ამის გარდა, საგარეჯოს მოსახლეობის ბედი ცნობილი იყო სახელმწიფოსთვის. სარჩელის გარდა, მათ არაერთხელ მიმართეს აქციას, იწერებოდა უამრავი სტატია, აშუქებდა ელექტრონული მედია და ა. შ. მაგრამ ხელისუფლება დუმდა. იმავე საქმეზე **„ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“, სასამართლო განაჩენის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია შემდეგი: „მოცემულ საქმეში ხელისუფლებას ნამდვილად შეეძლო შეეფასებინა დაბინძურების რისკი და მიეღო სათანადო ზომები მისი თავიდან ასაცილებლად, ან შესამცირებლად. აღნიშნული ფაქტორების კომბინაცია აჩვენებს საკმარის კავშირს დამაბინძურებელ ემისიებსა და სახელმწიფოს შორის, რის შედეგადაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საკითხი დგება კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე“.** ანუ, სახელმწიფო დაზარალებული მოსახლეობის წინაშე პირდაპირი პასუხისმგებელია.

**ასეთი განაჩენი და ევროპელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებები საფუძვლიან იმედს უსახავს „ეკოლოგიის სამართლის ცენტრსა“ და იმ ასობით მოქალაქეს, რომელთაც საქართველოში თემიდას სასწორის ობიექტურობა ვერ ნახეს. ბუნებრივია, საქმე ცოტათი გაჭიანურდება, თუმცა საბოლოოდ, ალბათ, მაინც „სამართალი შეჭამს პურს“, თუმცა ეს კომპენსაციაც ვერაფრით უშველის ერთხელ უკვე შერყეულ ჯანმრთელობას, ეკოლოგიას... ბოლოს და ბოლოს დაგლეჯილ ნერვებს!**

თეა მოსია

ჩვენ

# 310-ე ქართული სირცხვილი

(მესამე გვერდიდან)

არ ვილაპარაკებ, რადგანაც მე, ნამდვილად არ მაქვს უფლება, შევაფასო ის გადაწყვეტილება, რომელიც წმინდა სინოდმა მიიღო, მაგრამ უფლებას ვიტოვებ, რომ მიღებული განჩინების ზოგიერთი ფრაზა ისე გავიგო, როგორც ჩემი ეროვნული და მოქალაქეობრივი პოზიცია მომიწოდებს.

სინოდის სხდომის ოქმიდან მინდა გამოვყო მესამე პუნქტი:

3. წმიდა სინოდი მოუწოდებს სასულიერო პირებს და მრევლს სიმშვიდისკენ და, **მიუხედავად მღელვარების მიზეზებისა,** თავი შეიკავონ ყოველგვარი თვითნებური ქმედებებისგან და გააძლიერონ ლოცვა ერის ერთობისა და მშვიდობისათვის.

როგორც ვხედავთ წმინდა სინოდი ამბობს, რომ **„მღელვარების მიზეზები“** არსებობს.

მე მგონი, აქ ჩემგან ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

ზედმეტია, რადგანაც მედიაკავშირ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში, რელიგიური კონფესიების შესახებ მიღებულ კანონთან დაკავშირებით, მეუფე სერაფიმმა განაცხადა, **„ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მივიღეთ დაპირება, რომ კანონში შევა ჩასწორება, რომლის მიხედვითაც საქართველოში მართლმადიდებლური რელიგია კვლავ დომინანტად დარჩება. ჯერჯერობით, სინოდი ამ გადაწყვეტილებით შემოიფარგლა, და თუ დავინახავთ, რომ კანონის ძალით ოდესმე მაინც შეილახება ქრისტიანობა, მერე უკვე უფრო მკაფიო მოქმედებებზე გადავალთ“.**

წმინდა სინოდის სხდომაზე მომხდარ „სხვა ამბებთან“ დაკავშირებით, თავს უფლებას მივცემ და მედიაკავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტის ნინო მიქიაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალიდან რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ:

მაშინ, როცა წმინდა სინოდის წევრები პარლამენტის მიერ 5 ივლისს მიღებულ კანონზე მსჯელობდნენ, საპატრიარქოს შენობაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე სოსო თოფურიძე, თბილისის მერი გიგი უგულავა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანი იყვნენ მისულები.

**— რა უნდოდათ ზემოთ ჩამოთვლილ მაღალჩინოსნებს წმინდა სინოდის სხდომაზე?**

— პასუხს ერთი ძველი „ამბავი“ „გაგვცემს“, რომელიც ერთის შეხედვით სრულიად არაკორექტულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ 310-ე სირცხვილად უკვე შევიდა საქართველოს ისტორიაში, ამიტომ დიდ „რევერანსებს“ აღარ დავიწყებ და პირდაპირ იმ „ამბავს“ გაგახსენებთ.

გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი მოსკოვში იქაურ „დინამოს“ ხვდებოდა. მატჩის პირველი ნახევარი ქართველმა ფეხბურთელებმა ოთხი ბურთის სხვაობით წააგეს. ფაქტობრივად თამაშის გადარჩენა შეუძლებელი იყო, მაგრამ შესვენების დროს გასახდელში ლავრენტი პავლეს ძე ბერია შევიდა. მან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებთან შეიხედა, „რაო, აგებთ, ბიჭებოო?“, ჰკითხა და წავიდა.

მეორე ტაიმი 5:4 დამთავრდა თბილისის დინამოს სასარგებლოდ.

არც ამ „ისტორიას“ „დავუკავშირებ“ მაღალჩინოსნების საპატრიარქოში „ვიზიტს“, რომელიც რატომღაც წმინდა სინოდის სხდომას „დაემთხვა“. თანაც დაემთხვა მას შემდეგ, რაც ყოველგვარი „ანონსებისა“ და რუპორიანი მანქანების ქალაქში „სირბილის“ გარეშე, 9 ივლისს ქაშუეთის ეკლესიიდან სამების ტაძრამდე უამრავი ადამიანი დაიძრა.

არ „დავუკავშირებ“ და უბრალოდ გეტყვით, რომ დასკვნები თქვენ თვითონ გააკეთეთ.

**უფრო სწორად, ერთად გავაკეთოთ.**

**გავაკეთოთ და ან წერილის დასაწყისში ნახსენები ინგლისელი ქალბატონებივით მოვიქცეთ, ანუ ეს ჩვენი „310-ე“ ჩავთვალოთ როგორც „დემოკრატიისა და დასავლური ცივილიზაციისადმი“ მიტანილი ხარკი და ოქროს ასოებით ჩავწეროთ საქართველოს ისტორიაში,**

**ან . . .**

გია გაბრიჭიძე

◉ პოზიცია

# როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ?

**ბოლო კვირის განმავლობაში ქვეყნის ცხოვრებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა და ტენდენცია გამოიკვეთა, ზოგი ხილვადი, ზოგიც — ნაკლებად. ერთი შეხედვით, მათ ერთმანეთთან ლოგიკური კავშირი არ უნდა ჰქონდეთ. არადა, თუ გავაანალიზებთ, კავშირს არათუ დავინახავთ, ვიგრძნობთ კიდეც, რადგანაც იმას, რაც ამ მოვლენებსა და ტენდენციებს აკავშირებს, ჩვენი სახელმწიფო ჰქვია, რომელშიც თითოეული ჩვენგანი ცხოვრობს და აპირებს ცხოვრებას.**

ამ დღეებში პირველად, საჯაროდ, მასმედიით, საექსპერტო მოსაზრების დონეზე გაცხადდა ის, რაზეც, თემის სენსიტიურობის გამო, ბევრი გაურბოდა საუბარს. აღინიშნა, რომ საქართველოში არსებული რეჟიმი, რომელსაც ზოგი ტოტალიტარულს უწოდებს, ზოგი დიქტატურას, ზოგიც კი რბილ ავტორიტარიზმს, მხარდაჭერილია საერთაშორისო წრეებისა და ზოგადად, დასავლეთის მიერ. **თუკი სტაბილურობის შენარჩუნება და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების რეალიზაცია, თუნდაც დემოკრატიის დეფიციტის ხარჯზე, არის ის ფორმულა, რომელიც დასავლეთმა საქართველოსთან მიმართებაში აირჩია, მაშინ სულ ტყუილად ირჯება ოპოზიცია, როდესაც დასავლელ დიპლომატებთან ნიანგის ცრემლებს ღვრის სააკაშვილის რეჟიმის ავტორიტარული მოქმედებების გამო.** სწორედ სააკაშვილისა და მისი გუნდის ურყევი მხარდაჭერა დასავლეთის მხრიდან გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთმა ჯერჯერობით ვერც ერთი ოპოზიციური პარტიისა თუ ლიდერისგან ვერ მოისმინა და ვერ მიიღო ის, რაც მას სააკაშვილის მხარდაჭერას გადააფიქრებინებდა. ამის შესახებ, სხვათა შორის, არაერთი საერთაშორისო ექსპერტიც საუბრობს, მაგრამ რაკი ამაზე მსჯელობა ადგილობრივ დონეზედაც დაიწყო, ეს შეიძლება საზოგადოებრივი აზრის გარკვეული მიმართულებით ამოძრავების მიზეზი გახდეს. სწორედ ასეთ დროს უმძაფრდება ხოლმე საზოგადოებას თვითმყოფადობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის მოთხოვნა.

**სწორედ ამის დასაწყისი შეიძლება გახდეს, ერთი მხრივ, მართლმადიდებელი მრევლის გააქტიურება სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯების საპასუხოდ და, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის ნაწილის მიერ დაწყებული მოძრაობა ქვეყანაში თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად.**

დღეს ბევრს საუბრობენ იმ მიზეზ-გარემოებებზე, რომელთა გამოც ხელისუფლებამ დაჩქარებული წესით, პატრიარქის აზრისა და თხოვნის დამამცირებელი ფორმით იგნორირებით მიიღო კანონი რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით, რომლითაც, ფაქტობრივად, გათანაბრდა საქართველოში მოქმედი კონფესიები. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტის ფონზე რა ენთუზიაზმით მიესალმნენ ამ კანონის მიღებას აშშ-ის საელჩო და ევროკავშირის წარმომადგენლობა, შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ" ერთი გასროლით რამდენიმე კურდღელი მოკლეს. მათ დიდი ჟესტი გაუკეთეს სომხეთს და ამით თავიდან აიცილეს მოსალოდნელი გართულებები, რომლებიც, როგორც ამბობენ, საკმაოდ რეალური იყო; როგორც იქნა, შეასრულეს დასავლეთის მიერ საქართველოსთვის არაერთგზის დაყენებული მოთხოვნა კონფესიების უფლებრივ გათანაბრებაზე და საჯაროდ დამცირებით კიდევ ერთხელ გაჰკრეს კბილი პატრიარქსა და მართლმადიდებელ ეკლესიას. თუმცა მთავარი სარგებელი მმართველმა პარტიამ მიიღო იმით, რომ რელიგიურ გაერთიანებებზე კანონის მიღებით დასავლეთის წინაშე კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს საკუთარი თავი ქვეყანაში დასავლური ღირებულებების მატარებელ და დასავლეთის ყველაზე ერთგულ გუნდად, ხოლო ქართული საზოგადოებისა და ოპოზიციის უმრავლესობა კი — ანტიდასავლურ ძალად. დასავლეთისადმი მათი გზავნილიც შესაბამისია: **„გაგვიფრთხილდით, მხარი დაგვიჭირეთ, ხელისუფლებაში შეგვინარჩუნეთ, თორემ ხელისუფლებაში სულ სხვა ძალებს მიიღებთ!"**

ასეა თუ ისე, აღნიშნული კანონის მიღებით სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ" მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და უშუალოდ პატრიარქ ილია II-სთან დაპირისპირება ახალ და უფრო მწვავე სიბრტყეში გადაიყვანეს და ფაქტობრივად, პატრიარქი, ეკლესია და მრევლი გამოწვევის წინაშე დააყენეს.

რელიგიურ გაერთიანებებზე მიღებულ კანონთან დაკავშირებულმა ატეხილმა ვნებათაღელვამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, როგორი მძაფრია ჩვენს სახელმწიფოში ღირებულებათა სისტემების კონფლიქტი. თუმცა თუ საკითხს სხვა მხრიდან შევხედავთ, იქნებ სწორედ ეს არის დემოკრატიისთვის დამახასიათებელი აზრთა პლურალიზმის გამოვლინება... თუმცა რატომღაც ჩვენს სახელმწიფოში ოფიციოზისგან განსხვავებული აზრი ლამის სამშობლოს ღალატთან, უკეთეს შემთხვევაში კი რეგრესთანაა გაიგივებული.

ალბათ, ასეთივე დამოკიდებულება ექნებათ ხელისუფლებასა და მის მხარდამჭერებს იმ ინიციატივებთან, რომლებიც ამ საარჩევნო გარემოს საკუთარ ინტერესებზე მორგებით ხელისუფლებამ ქვეყანაში რეალური პოლიტიკური დიალოგის სივრცე აღარ დატოვა და ის ფსევდოოპოზიციასთან „დიალოგის" სუროგატით ჩაანაცვლა. ამ „დიალოგის" მონაწილე „ოპოზიცია" ფაქტობრივად, ლეგიტიმაციას უკეთებს ისეთ საარჩევნო გარემოს, რომელმაც 2012 წლის არჩევნებში „ნაცმოძრაობის" გამარჯვება უნდა უზრუნველყოს.

**შექმნილ სიტუაციაში „ექვსეულის", როგორც პოლიტიკური კოალიციის, ბედი და მათი პოლიტიკური შანსები (თუკი რომელიმე სუბიექტი ხელისუფლებას არ გაურიგდა), თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ხალხისა და სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერაზე, მათ პროფესიონალიზმსა და შემართებაზე, რადგანაც დასავლეთის მხარდაჭერის იმედი „ექვსეულს" ამ ეტაპზე, ალბათ, ნაკლებად უნდა ჰქონდეს. თუმცა უცნობია, აცნობიერებენ თუ არა ამას „ექვსეულის" წევრები.**

დღეებში აწ გარდაცვლილი „რვიანისგან" დარჩენილმა „ექვსეულმა" და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა გამოაცხადა საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით. გზავნილმა — „არჩევნებს იგებს მილიონი ადამიანი და არა მილიონი ლარი"! რომელიც „ექვსეულისგან" ახლად შექმნილმა კოალიციამ „თავისუფალი არჩევანისათვის" გააკეთა — კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა, თუ რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ბედის ირონიაა, რომ სწორედ არჩევნების გაყალბების საბაბით დაწყებული „ვარდების რევოლუციიდან" რვა წლის თავზე საქართველოში კვლავ პრობლემაა სამართლიანი არჩევნების ჩატარება. თუმცა იჩენს კი დასავლეთი საკმარის პრინციპულობას, რომ ეს პრობლემა მოიხსნას? მან ჯერჯერობით ჩვენი საზოგადოება ამაში ვერ დაარწმუნა, რადგანაც საზოგადოებამ არ იცის, სად გადის დასავლეთისთვის არჩევნების გაყალბების ზღვარი.



**ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალაუნებურად უკვე ეჭვი ჩნდება — ხომ არ შეუთანხმეს წინასწარ „ნაციონალებმა" თავიანთი ახლანდელი საარჩევნო წინადადებები დასავლეთს, როდესაც ასე თავდაჯერებულად და ულტიმატუმის ფორმით შესთავაზეს ოპოზიციას... ეს ეჭვი უფრო ძლიერდება, როდესაც ოპოზიციის ნაწილის მიერ ხელმოწერილი ხელისუფლების ეს წინადადებები, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით ვერ უზრუნველყოფს თავისუფალ არჩევნებს, დასავლეთის წარმომადგენლებმა უკვე შეაფასეს, როგორც „წინგადადგმული ნაბიჯი".**

კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის ცვლილებების სიხშირით საქართველო, როგორც სახელმწიფო, შეიძლება მართლაც სავალალო რეკორდსმენი გახდეს. პარლამენტართა რიცხოვნობის გაზრდის გამო შარშან მიღებულ კონსტიტუციას ხელახალი ცვლილებები ელის. პარლამენტის „გასუქების" სასარგებლოდ კი დასაბუთებული არგუმენტები საზოგადოებას ხელისუფლებისგან ჯერაც არ მიუღია.

გავა წლები და „ფოტოგრაფების საქმეს" საზოგადოება ისევე გაიხსენებს, როგორც თავის დროზე საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დიდი რიხით შეკერილ და შემდეგ საპნის ბუშტივით გამსკდარ „საქმეებს". ამბობენ, რომ ხელისუფლებას „ფოტოგრაფების საქმე" გასულ კვირას წამოჭრილი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაფარად დასჭირდა. შესაძლოა, შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელმაც წინა დღით „эхо Москвы"-სთან ინტერვიუში წაიტრაბახა რუსეთის სპეცსამსახურებთან ბრძოლაში წარმატებები, სიტყვის „საქმით" დამტკიცება მოისურვა. ბევრს, ალბათ, უხერხულობის განცდა დაეუფლებოდა, როდესაც „эхо Москвы"-ის რედაქტორმა „დემოკრატიის შუქურად" წოდებულ საქართველოს საზოგადოებას დელიკატურად შეახსენა, რომ **„ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მთელ მსოფლიოში უკვე დიდი ხანია, რაც ალიარებითი ჩვენება მტკიცებულებად აღარ მიიჩნევა". ვიდრე შსს დამატებით და დამაჯერებელ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს, საზოგადოება სამართლიანად ჩათვლის, რომ ფოტორეპორტიორები ხელისუფლებისთვის საჩოთირო სინამდვილის ამსახველი ფოტომასალის გავრცელებისთვის ისჯებიან.**

„ფოტოგრაფთა საქმეს", წესით, შსს-ის, სახელმწიფო დაცვისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა „საქმეებიც" უნდა მოჰყვეს. თუკი დაპატიმრებულ ფოტოგრაფებს ხელი მიუწვდებოდათ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის სქემაზე და შეეძლოთ გადაეღოთ დოკუმენტი შსს-ისა და სახელმწიფო დაცვის სამსახურის ერთობლივ გეგმაზე პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით და ა.შ., გამოდის, რომ აღნიშნული უწყებების ცალკეული წარმომადგენლები ან თავად არიან ჩართული ჯაშუშურ ქსელში, ან სამსახურებრივ მოვალეობას ვერ ასრულებენ სათანადოდ. ჯერჯერობით, „ფოტოგრაფთა საქმიდან" ხელისუფლებამ სარგებლის ნაცვლად მისი იმიჯის კიდევ უფრო მეტი ზიანი მოიმკო. არადა, არც უკან დახევა გამოდის და, სავარაუდოდ, ფოტორეპორტიორებს სასჯელს მაინც გაუფორმებენ, რომ სხვებს არ გაუჩნდეთ სიმართლის გავრცელების „ცდუნება".

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შემყურე მოქალაქეს ბუნებრივად უნდა გაუჩნდეს კითხვა, თუ როგორ სახელმწიფოში ცხოვრობს თავად და როგორ სახელმწიფოში იცხოვრებენ მისი შთამომავლები. რატომ არის, რომ რეჟიმი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, მიუხედავად იმისა, რომ მისდამი საზოგადოების უმეტესი ნაწილი, ღიად თუ ფარულად, მაინც კრიტიკულად არის განწყობილი?

თავიანთ ცნობილ ნაშრომში „Open Authoritarian Regimes: Surviving and Thriving in the Liberal International Order" ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მკვლევარები ნააზენ ბარმა, ელი რატნერი და რეჯინ სპექტორი საკმაოდ თვალსაჩინოდ აჩვენებენ, თუ როგორ ახერხებენ ავტორიტარული რეჟიმები არათუ გადარჩენას, არამედ აყვავებასაც კი თანამედროვე ლიბერალურ მსოფლიო წესრიგის პირობებში. მათი აზრით, ამჟამინდელი საერთაშორისო სისტემა განსაკუთრებით კომფორტულია გარკვეული ტიპის ავტორიტარული რეჟიმებისთვის, რომლებიც საერთაშორისო სისტემასთან თავიანთ კავშირებს იყენებენ თავიანთ ქვეყნებში თავიანთი ძალაუფლების გასამყარებლად. ეს გულისხმობს ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგთან სელექციური ინტეგრირებით ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღებას და ქვეყანაში არალიბერალური პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას. მკვლევართა აზრით, ცალკეული ავტორიტარული რეჟიმები უკვე დახელოვნდნენ საერთაშორისო კავშირებიდან დივიდენდების „ამოქაჩვაზე" საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მოთხოვნილი რეფორმებისგან თავის არიდებით. მეტიც, მათ წარმატებით მოახერხეს სხვადასხვა შემოვლითი სოციალურ-პოლიტიკური მანევრით ადგილობრივ სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება და იქით სთავაზობენ საერთაშორისო თანამეგობრობას ინოვაციური და რეფორმისტული მმართველობის ალტერნატიულ მოდელებს.

**საქართველო ყოველივე ზემოთქმულის კლასიკური მაგალითია. ჩვენმა საზოგადოებამ თვალნათლივ დაინახა, თუ როგორ მოახერხა ბუნებით ავტორიტარულმა რეჟიმმა საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენებით გამკლავებოდა ადგილობრივ ზეწოლებს, წინააღმდეგობებსა და გამოწვევებს, რომლებსაც თითქოსდა რეჟიმის გარდუვალი დაცემა უნდა გამოეწვიათ.**

ზაალ ანჯაფარიძე

◉ ინფორმაცია

## საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს ძვ.წ. V საუკუნის ნაქალაქარი აღმოაჩინეს

**აზერბაიჯანში, ყარაჯალა-მერლის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა ნაქალაქარს მიაგნეს, რომელიც სავარაუდოდ ძველი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნით თარიღდება. სპეციალისტების განცხადებით, ნაქალაქარი თავისი დაგეგმარებით და იქ ნაპოვნი ნივთებით, წნორში, ალაზნის პირზე მიგნებული გუმბათის სასახლის იდენტურია.**

**აღმოჩენილ ნაქალაქარს არქეოლოგები კაპტილაური ნაგებობების პირველ ნიმუშად მოიხსენიებენ და ამ ორ ტერიტორიაზე მობინადრეების ერთიან კულტურაზე საუბრობენ. ნაქალაქარის მთლიანი ტერიტორია დაახლოებით 20 ჰექტარია.**

**ქართველი, აზერნაიჯანელი და გერმანელი არქეოლოგებისგან შემდგარი ექსპედიცია ამ ტერიტორიაზე 2006 წლიდან მუშაობს. აქ უკვე 5 სახლის ნანგრევია ნაპოვნი.**

ХО-ЭОВ-ЭБО

როცა ხელი ხელს ბანს

# ავერსი-რევერსი - ერთეულების სიმდიდრე და ერთეულების ძალაუფლება სხვების ჯანმრთელობის ხარჯზე



**როგორ არის გადანაწილებული სააფთიაქო სექტორში „ძალთა თანაფარდობა". როგორ ისქელებენ ჯიბეებს ხალხის ჯანმრთელობის ხარჯზე და ვის ჯიბეში ილექება მილიონები? — პრესაგენ.ტვ-ს ამ თემაზე ესაუბრება ექსპერტი მერაბ ჯანიაშვილი (ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია).**

— ჩვენი ასოციაცია შორსაა იმ აზრისგან, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციაა, ეს დაადასტურა ჩვენმა კვლევებმაც. წარმოუდგენელია ბაზარზე ოპერირებდეს სამი მსხვილი კომპანია, რომელთაც 90%-ზე მეტი უჭირავთ და მათ წამლებზე ზუსტად ერთნაირი ფასები ქონდეთ. აქ არის სერიოზული ნიშნები კარტერული გარიგებისა და ჩვენ გვქონდა მოწოდება, თუ ანტიმონოპოლიური სამსახური აღდგებოდა, პირველ რიგში, სწორედ ამ თემით უნდა დაინტერესებულიყო.

როცა ვამბობ, რომ აქ არის გარიგების სერიოზული ნიშნები, ამას ვაცხადებ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე. სამი კომპანიის - „ავერსი", „ჯი-პი-სი", „პე-ეს-პე" - ფასები ერთმანეთისგან ან არ განსხვავდება, ან განსხვავება 5 თეთრს არ აღემატება. ჩვენ დაახლოებით 700-მდე მედიკამენტის ფასი შევადარეთ და 90% ფასებისა ერთი და იგივე იყო. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ეს კომპანიები ერთმანეთში ცვლიან მედიკამენტებს, ეს კიდევ გააღრმავებს არაჯანსაღი კონკურენციის ფაქტორს.

სამი კომპანიიდან ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე არის „ავერსი". მისი დამფუძნებელი პაატა კურტანიძე ძალიან დიდი სპექტრს მოიცავს — შექმნილი აქვს სადაზღვევო კომპანია, აქვს საკუთარი კლინიკა, ადგილობრივი წარმოების ქარხანა, არაფერს ვამბობ წამლების იმპორტზე, საბითუმო და საცალო რეალიზაციაზე. შესაბამისად, კურტანიძეს სერიოზული გავლენა აქვს მოპოვებული ამ ბაზარზე. მასთან დაზღვეული ადამიანები „ავერსის" კლინიკაში მკურნალობენ. „ავერსის" შემდეგ გავლენით მოდის „პე-ეს-პე".

**— „ავერსს" ბევრი უპირატესობაც აქვს სხვა ფირმებთან შედარებით.**

— დიახ, თუ „ავერსის" კლინიკაში, ან მის სადაზღვევო კომპანიაში მიდის პაციენტი, ბუნებრივია, მას გაუშვებენ თავის აფთიაქში, ეს არ არის კანონის დარღვევა და მოსახლეობამ თავად უნდა გადაწყვიტოს, სად მივიდეს, მაგრამ როცა პაციენტი მიდის სხვა კლინიკაში და ეუბნებიან, რომ მაინცდამაინც „ავერსში" უნდა იყიდოს წამალი, ეს უკვე კანონდარღვევაა და ამაზე დიდი ხანია მიდის დავა. ანუ, არის ძალიან ბევრი ფაქტი, როცა ექიმები და კომპანიები გარიგებული არიან.

ექიმები სარგებელს იღებენ ამ გარიგებით — ზოგი ფულადი სახით, ზოგსაც ფირმა უფინანსებს საზღვარგარეთ წასვლას და ასე შემდეგ. გარიგება ხდება მომხმარებლის ჯიბისა და ჯანმრთელობის ხარჯზე. როდესაც ასეთი სიტუაციაა, რა თქმა უნდა, მომხმარებლის უფლება ირღვევა, ჯანდაცვის კონტროლი კი ვერანაირ საერთაშორისო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, მეტიც — ელემენტარულ კონტროლს ვერ ახორციელებს. მომხმარებლები ჩვენთან დარჩენილები არიან კეთილი ნების ანაბარა.

**— ვინ აგებს პასუხს მედიკამენტების ხარისხზე?**

— არავინ იცის, საქართველოში რამდენად ხარისხიანი მედიკამენტები შემოდის ან ადგილზე როგორი იწარმოება. დადასტურებული ფაქტია, რომ „ავერსს" შემოაქვს დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქცია ინდოეთიდან და ჩინეთიდან. გამოვითხოვეთ სამინისტროდან მონაცემები და ეს ფაქტი დადასტურდა. გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ შემოტანილი მედიკამენტები მაინცდამაინც უვარგისია, იმიტომ, რომ მედიკამენტების შემოწმება ძალიან ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ როდესაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ინდოეთი არის წამლების ფალსიფიკატორი ქვეყანა, რომელზეც მოდის მსოფლიო ფალსიფიკაციის ერთი მესამედი, ეს უკვე იძლევა ეჭვების საფუძველს. თავად ინდოეთის ჯანდაცვის სამინისტრო აფრთხილებს სხვა ქვეყნებს, ჩვენგან თუ რამე წამალს წაიღებთ, კონტროლი დააწესეთო. ანალოგიური მდგომარეობაა ჩინეთშიც. ანუ, ყველამ იცის, რომ ამ ქვეყნებში ძალიან უხარისხო პროდუქტი იწარმოება. უბრალოდ, ის ქვეყნები, რომლებსაც მიაქვთ იქიდან წამლები, ძალიან სერიოზულ კონტროლს აწესებენ. ჩვენთან არ ხდება ეს კონტროლი, ამიტომ ვიძახით, რომ არის საშიშროება, უხარისხო, ჯანმრთელობისთვის საზიანო მედიკამენტები შემოვიდეს.

**— სახელმწიფო კანონით უშვებს ამას...**

— რა თქმა უნდა! ესაა სწორედ საქმე! სახელმწიფოს აქვს ასეთი პოზიცია: მე არ შემიძლია მედიკამენტების კონტროლი, ჯანდაცვის სექტორში გარკვეული წესის დანერგვა, ამას ფული სჭირდება. და გამოსავალს ხედავენ იმაში, რომ ყველაფერი მიშვებული აქვთ თავის ნებაზე. თუ რამე მოხდება, კომპანიებს აკისრებენ პასუხისმგებლობას, მაგრამ ჯერ არც ერთი კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა მიუხედავად იმისა, რომ არა ერთი უსიამოვნო ფაქტი დაფიქსირდა. ყველაზე მთავარი სააგენტო, რომელიც მედიკამენტების ხარისხს აკონტროლებს, უსახსრებოდაა დარჩენილი, წელიწადში ამ სააგენტოს 80 ათასი ლარი გამოეყოფა საქართველოში არსებული მედიკამენტების ხარისხის შესამოწმებლად.

**— ეს იმ დროს, როცა საქართველოდან მილიონები მიაქვთ უცხოელ მომღერლებსა და მსახიობებს...**

— დიახ! სადაზღვევოში ბრუნვაში არის 6500 მედიკამენტი, სააგენტო მაქსიმუმ 80 მედიკამენტის შემოწმებას ახერხებს. ამ ფონზე რაზეა საუბარი და რომელ კონტროლზე? აქ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ მასობრივად უნდა მოხდეს მედიკამენტების კონტროლი, მაგრამ სტანდარტები უნდა დააწესოს სახელმწიფომ და კომპანიას ვალდებულება უნდა ჰქონდეს, ეს სტანდარტები დააკმაყოფილოს. ჩვენთან არ არსებობს არანაირი ვალდებულება არც ერთი სტანდარტის დაკმაყოფილების მოთხოვნით. ეს სტანდარტები თავის თავში გულისხმობს, როგორ უნდა მოხდეს მედიკამენტების იმპორტი; როგორ უნდა მოხდეს მისი შენახვა; როგორ უნდა იყოს შენახული რეალიზაციის დროს; როგორ უნდა მოხდეს მისი წარმოება და ასე შემდეგ და რადგან ჩვენთან არ არსებობს ამის საკანონმდებლო ბაზა, შესაბამისად, კომპანიები თავისუფალნი არიან ყველანაირ ქმედებაში და რაც უნდა, იმას აკეთებენ.

**— „ავერსის" პრივილეგირებული მდგომარეობა ალბათ იმითიცაა განპირობებული, რომ ფირმა ნაციონალების ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელია.**

— შეგვიძლია გადავხედოთ ოფიციალურ სიას, რომელიც ეხება ნაციონალების დაფინანსებას. ამ სიაში აღმოვაჩენთ არა ერთ ფირმას და მათ შორის, ყველაზე დიდი დამფინანსებელი „ავერსია". ამას თავადაც არ მალავენ. „ავერსი" არც უარყოფს, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი სერიოზული დამფინანსებელი რომ არის. ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა არ იცნობს ისეთ მაგალითს, რომ კომპანიამ 15 წლის განმავლობაში ბაზარზე შეინარჩუნოს ოლიგოპოლური სიტუაცია, ჰქონდეს ძალიან არასამართლიანი ფაქტები და ეს გაგრძელდეს ასე. ეს ხდება ერთადერთ შემთხვევაში, როცა მას სახელმწიფო ჩინოვნიკები ლობირებენ. ანუ ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიებს სახელმწიფო ჩინოვნიკებისგან აქვთ მხარდაჭერა.

არის წამლები, რომელზედაც „ავერსს" 800-1000% მოგება აქვს, ეს იცით რას ნიშნავს? კონკურენცია არ არის! მათ რომ არ ჰქონდეთ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა, ფასებს ვერ შეინარჩუნებდნენ. გადახედეთ ბოლო გადაწყვეტილებებს, ყველა იმისკენაა მიმართული, რომ მსხვილმა კომპანიებმა ისარგებლონ და წვრილი მეწარმეები გაკოტრდნენ. ძალიან ბევრი ფაქტი იყო, როცა ახალ კომპანიებს უნდოდათ ბაზარზე შემოსვლა და არ შემოუშვეს.

**— ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ფირმას უნდოდა შემოსვლა საქართველოში და დაიბლოკა.**

— კი. ამას გარდა, ებრაულ კომპანიასაც უნდოდა გარკვეული მედიკამენტების შემოტანა და არ მისცეს უფლება. ახლა როგორი სიტუაციაა, იცით? თუ გინდა მედიკამენტის რეგისტრაცია, გააგზავნი ამ მედიკამენტს ჯანდაცვის სამინისტროს ქვეუწყებაში და თუ 2 კვირაში არ გიპასუხა, წამალი დარეგისტრირებულია, მიუხედავად დადებითი ან უარყოფითი პასუხის არარსებობისა.

**— როგორ?**

— 2 კვირაში თუ არ გიპასუხებს, რეგისტრირებულად ითვლება, ანუ შესაბამისად, მსხვილ კომპანიას პრობლემა არა აქვს და მშვენივრად იყენებენ შექმნილ მდგომარეობას. როდესაც ეს კომპანიები აცხადებენ, რომ თურმე, 5-7%-იან მოგებაზე მუშაობენ, ეს არის ბლეფი. მათი საქმიანობა წარმოაჩენს, რომ მოგება გაცილებით მაღალია. როგორ შეიძლება 5%-იან მოგებაზე მუშაობდეს მაგალითად — „ავერსი", და სხვადასხვა ბიზნესი იყიდოს პარალელურად? რამდენი კლინიკა იყიდა, სადაზღვევო და ასე შემდეგ. ეს ფული ჰაერიდან ხომ არ ცვივა, არა? მედიკამენტების რეალიზაციიდან შემოდის.

**— არაერთხელ დაფიქსირდა „ავერსის" კლინიკაში ექიმების არაპროფესიონალიზმი, გარდაცვალების ფაქტებიც იყო, მაგრამ ექიმების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.**

— სამი წლის ბავშვის სიცოცხლე რომ შეიწირეს, ეს არაა ერთადერთი შემთხვევა. სატირალი რომ არ ყოფილიყო მდგომარეობა, ადამიანს გაგეცინებოდა იმ შემთხვევის გამო, რაც „ავერსის" კლინიკაში მოხდა — ბავშვი ცუდად გახდა და „ავერსის" კლინიკამ ღუდუშაურიდან გამოიძახა ექიმი, გვიშველეთ რამეო. ანუ, ეს პირდაპირ მიანიშნებს იმას, რომ ამ კლინიკაში არ არიან პროფესიონალები. სამწუხაროდ, არავის გაგვიგია, რომ ეს ექიმები ვინმეს დაესაჯოს. გაავლეთ პარალელი და ნახეთ, როგორ სჯიან სახელმწიფო კლინიკებში მომუშავე ექიმებს მცირე გადაცდომებისთვისაც კი. ზოგს ლიცენზიას ართმევენ, ზოგს იჭერენ. რაზე მიუთითებს ეს? „ავერსი", როგორც კომპანია, და „ავერსის" ექიმები, პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან და არ ეხებათ კანონები და მკაცრი სასჯელები, იმიტომ, რომ მართლა უკონტროლო სიტუაციაა და არც ერთი ფაქტი არ გახმაურებულა, რომ ვინმე დაესაჯათ. რომ დაესაჯათ ვინმე აუცილებლად გაახმაურებდნენ, ეს ამათ არ ეშლებათ.

**— რატომ აქვს კურტანიძეს უკიდეგანო უფლებები?**

— იმის გამო, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი ოფიციალური დამფინანსებელია, ამას ვერც თავად უარყოფს. ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენია. გარკვეული დახმარების სანაცვლოდ არც ხელისუფლება უვიწყებს ამას კურტანიძეს. თუ გნებავთ გადახედეთ ბოლო პერიოდში გამართულ ტენდერებს, სადაც 90% „ავერსია" გამარჯვებული. ასეთი სიტუაციაა — მომეცი საარჩევნოდ ფული და ხელს შეგიწყობ. ოფიციალურად შეტანილი „საწევროც" საკმარისია ამის დასანახად, არაოფიციალურად რამდენს იხდის, ამაზე საუბარი შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებად მტკიცებადი. რეალურად ისეთი სერიოზული ხმები დადის, ვარაუდი იმისა, რომ ხელისუფლებას არაოფიციალურად აფინანსებენ „ავერსი" და სხვა კომპანიები, არაა ძნელი.

**— ანუ, ხელი ხელს ბანს პრინციპი მოქმედებს.**

— რა თქმა უნდა! და აქ ზარალდება მოსახლეობა. ჯერ ერთი, იხდი მაღალ ფასებს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: უხარისხო მედიკამენტებში ვიხდით 100-ჯერ მეტს, ვიდრე ეს მისი ფასია. ეს პრობლემა გადაიჭრებოდა, ამის სურვილი ხელისუფლებას რომ ჰქონდეს.

**— სხვათა შორის, საინტერესო იყო სათვალთვალო კამერების საქმეც...**

— მერაბიშვილის უწყება აყენებდა ამ კამერებს. ამდენად, გარიგებაც აქ მოხდებოდა. ჩემთვის ისიც წარმოუდგენელი იყო, რატომ უნდა დაეცვათ გარე პერიმეტრი აფთიაქებს. თუ ვიმსჯელებთ იმ ლოგიკით, რომ შეიძლება ვინმე შევიდეს აფთიაქში და რამე მოიპაროს იქ, ასეთ შემთხვევაში რას აკეთებს დაცვა? ვთქვათ, დაცვა არ არის, რაც გამორიცხულია. მაშინ გამოდის, აფთიაქში შესულ კლიენტს კომპანიამ ბეჭებზე უნდა დაამაგროს ვიდეოკამერა? არავინაა დაზღვეული, აფთიაქიდან გასულს ვინმე თავს არ დაესხას. იმიტომ, რომ შსს-ს გაუადვილდეს საქმის გამოძიება ეგებ ეს ხერხიც დაენერგათ? ეს — ხუმრობით, მაგრამ ფაქტია, რომ სამინისტრომ მალევე წაიღო უკან კამერების დაყენების მოთხოვნა. ეტყობა, „გადაიფიქრეს" კლიენტების უსაფრთხოება.

**— საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორს თუ გააცანით თქვენი მონაცემები? ხელისუფლება თუ ჩააყენეთ საქმის კურსში და როგორი იყო რეაგირება?**

— ხელისუფლების მხრიდან არასდროს ყოფილა დაინტერესება, ევროკავშირი დაგვპირდა, თუ შევძლებთ, რეაგირებას მოვახდენთო.

**— რა არის შეუძლებელი?! აღშფოთებულიყვნენ მაინც...**

— შეუძლებელი ისაა, რომ არ არსებობს ანტიმონოპოლიური სტრუქტურა და არც კანონმდებლობა. ჩვენ ვაპირებთ პარლამენტში შევიდეთ საკანონმდებლო ინიციატივით. არის საკითხები, რომლებიც შეიძლება, რომ გადაწყდეს.

**— არ გეკითხებით, რა ინიციატივა გაქვთ. უბრალოდ, მაინტერესებს, თქვენ გაქვთ იმის იმედი, რომ თქვენს რომელიმე წინადადებას გაითვალისწინებენ?**

— არა მგონია, საქართველოში მოქმედ კომპანიებს ჩვენი ინიციატივები მოეწონოთ... ამდენად, ხელისუფლებაც წინააღმდეგი იქნება. ჩვენ არც გვაქვს ილუზია, რომ წარმატებას მივაღწევთ, მაგრამ ვცდით და ეგებ რაღაც მაინც გამოვიდეს, მინიმალური მაინც. ცოტა ხნის წინათ მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა კვლევა, სადაც პირდაპირ აღნიშნავს, რომ საქართველოს ბაზარზე არის ოლიგოპოლური სიტუაცია, რაც იმითაა შენარჩუნებული, რომ კომპანიები სახელმწიფო ჩინოვნიკების მხარდაჭერით სარგებლობენ. დასკვნაში მოყვანილია მონაცემები, რომ მედიკამენტების ფასები არაადეკვატურად იზრდება იმასთან შედარებით, ქვეყანაში როგორ იზრდება ფასები. დასკვნაში წერია, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით ცვლილებები.

**— მაგრამ ეს რას ცვლის?**

— ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, როდესაც არ აწყობთ მათი დასკვნები, არც ევროკავშირი და არც მსოფლიო ბანკი ავტორიტეტები არ არიან.

**ნანა მაისაშვილი**

# შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაც კი უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე „საბას" ჟიურის, ასე ვთქვათ, ინკოგნიტო წევრების ბნელი საქმიანობა



ინტერვიუ ნინო დარბაისელთან

**— თქვენ ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში ამბობთ, რომ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაც კი გამჭვირვალეა, „საბას" პრემიის ორგანიზატორებისა და ჟიურის საქმიანობა კი საეჭვო ბურუსით არის მოცული. როგორ გგონიათ, „საბა" იმიტომ არის საეჭვო ბურუსით მოცული, რომ შიგნით კორუფცია სუფევს?**

— ამთავითვე განვმარტავ, რომ კორუფციაზე საუბრისას, რასაკვირველია, ვინმეს პირდაპირ ფულად მოსყიდვას არ ვგულისხმობ. საუბარია ლიტერატურულ კორუფციაზე, როდესაც გარკვეული კლანის ხელში მოხვედრილი რომელიმე პრემია, ლიტერატურული ღირსების გაუთვალისწინებლად, სისტემატურად ნაწილდება უპირატესად საძმო-სადაქალოს წევრებზე, მარტივი პრინციპით: „მე შენ გაძლევ, შენ მე მომცემ"! დიახ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაც კი უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე „საბას" ჟიურის, ასე ვთქვათ, ინკოგნიტო წევრების ბნელი საქმიანობა, თუმცა წელს მასში, იქნებ ასერიგად მოდური „გამჭვირვალობის" ბაძვითაც, იმავე სამინისტროს მოქმედი (თუ უკვე ყოფილი?) დაბალჩინოსანი თანამშრომელი — დიანა ანფიმიადიც ჰყავდათ შეყვანილი.

გეკითხებით, რას გვაძლევს ჟიურის წევრთა ვინაობის გასაიდუმლოება, თუ იგი მხოლოდ უცხოთათვის რჩება მიუწვდომელი, საახლობლოსთვის უმალ ცნობილი ხდება და კომფორტულ ვითარებაში აგვარებენ მათ საქმეებს?! ჟიურის წევრი, რომელიც ღიაობის პირობებში ფსიქოლოგიურად არ არის მზად, იყოს პრინციპული და ობიექტური, ვითომ გაუხმაურებლობის დროს იქნება უცოდველი?! ეს ხომ, უბრალოდ, გულუბრყვილოთა მოტყუება და თვალში ნაცრის შეყრაა.

საბედნიეროდ, საქართველოში არიან ზნეობრივად მტკიცე, პროფესიონალი ლიტერატორები, რომელთაც პროტექციას ვერც შებედავ.

რატომ უნდა ილებდნენ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს გუშინდელი დებიუტანტები, რომელნიც არც ფსიქოლოგიურად, არც ინტელექტუარად და არც მორალურად არ არიან მზად ამისათვის?!

**— სოციალურ ქსელ facebook-ზე, საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნეთ „შეკითხვები ზღაპრითურთ, კონკურს „საბას" ორგანიზატორთა ობიექტურობაში დაჯერებული მეგობრებისათვის", სადაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებთ პოეტ რატი ამაღლობელის კორუმპირებულობაზე. რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?**

**რატი ამაღლობელთან ფიგურირებს წლევანდელი „საბას" ფინალისტი ქეთი ნიჟარაძე. თქვენ ფიქრობთ, რომ ქეთი ნიჟარაძეს რატი ამაღლობელმა გაამარჯვებინა?**

— კორუფციას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სპეციფიკური სახე აქვს. ვიმეორებ, მე საუბარი მაქვს, საკუთრივ, ლიტერატურულ კორუფციაზე.

თქვენ მიერ ნახსენებ „ჩანაწერში" იქვეა მოთავსებული ინტერნეტით გავრცელებული ლინკი მინი რეპორტაჟისა, რომელიც ცხადყოფს, რომ 2010 წლის მარტში „თიბისი ბანკის" ბიბლიოთეკაში გამართულ პრეზენტაციაზე წარდგენილი იყო ქეთი ნიჟარაძის **პირველი** პოეტური კრებული „წაუკითხავი ლექსები", რომელიც რატი ამაღლობელმა თავისი სეფე-სიტყვით დაამშვენა, შემდგომ ამისა, ეს, კიდევ ვიმეორებ, უმწიფარი კრებული, რომელში შესული ლექსების გამოქვეყნებისგანაც თავს შეიკავებდა ნებისმიერი რედაქტორი, თუკი საკუთარი ჟურნალის დონეზე ზრუნავს, „საბას" გამოქვეყნებულ „შორტლისტებში", არა დებიუტის, არამედ პირდაპირ პოეზიის ნომინაციაში, ხვდება, ანუ იქ, სადაც არ მოიძებნა ადგილი მნიშვნელოვანი პოეტებისთვის, რომელთა ჩამოთვლისაგანაც თავს შევიკავებ, შემდგომ ამისა, „საბას" დაჯილდოების ცერემონიალამდე ერთი დღით ადრე რატი ამაღლობელი უტიფრად ცრუობს მთელი საქართველოს ტელემაყურებლების წინაშე, რომ ეს თურმე ქეთი ნიჟარაძის **პირველი კი არა, მესამე კრებულია**. როგორ ფიქრობთ, თუნდაც ეს ერთი კერძო „უმნიშვნელო", მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებით დადასტურებული შემთხვევა ცოტაა, რათა მე ან მთელს საზოგადოებას შეექმნას საფუძვლიანი წარმოდგენა რატი ამაღლობელის კორუმპირებულობაზე?

**— თქვენ ამბობთ, რომ ქეთი ნიჟარაძე არის ავტორი უმწიფარი ლექსებისა. შეგიძლიათ კონკრეტულად გვითხრათ, რა არ მოგეწონათ ახალგაზრდა პოეტის ლექსებში?**

— კითხვა, რა არ მომწონს რომელიმე პოეტის კრებულში, მართებული იქნებოდა მაშინ, კრებული მეტნაკლებად საშუალო დონისა რომ იყოს. ამ შემთხვევაში კი გაუმართლებელი მგონია, რადგან თვით რატი ამაღლობელმაც კი, თავისსავე გამართულ პრეზენტაციაზე ქეთი ნიჟარაძის ღირსების წამოსაჩენად ბევრი ვერაფერი თქვა, გარდა იმისა, რომ იმეორა, თურმე როგორც პოეტს ინტუიცია ჰქონია.

მხოლოდ ამაში თუ იძლევიან „საბას", ერთიორი ცნობილი თანამედროვე ქართველი „ნათელმხილველის" სახელს შევახსენებდი, არაფრით ნაკლებად და იქნებ ქეთი ნიჟარაძეზე ბევრად უკეთაც რომ წერენ. მხოლოდ ავტორის „პოეტური ინტუიცია" ჰყოფნის ტექსტს, რომ მასზე, როგორც რომელიმე სერიოზულ ლიტერატურულ კონკურსში წარდგენილ პოეტურ ნაწარმოებზე სერიოზული საუბარი შეიძლებოდეს?

**— დიდი ხანია იმაზე საუბრობენ, რომ „საბას" ჟიურის წევრები ერთი წელი ჟიურიში არიან, მეორე წელს კი ნომინირებულნი არიან კონკურსზე და ფინალშიც გადიანო. თქვენს კომენტარში, რატი ამაღლობელს იგივე უწინასწარმეტყველეთ. როგორ ფიქრობთ, „საბა" მარტო ჟიურის წევრებისთვის და მათი ახლობლებისთვის არსებობს?**

— ისინი, ვინც ამის თაობაზე კარგა ხანია ასე და ამრიგად საუბრობენ, მართალნიც არიან. საბაზე ხომ თითქმის ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ჟიურის წევრებად გასულნი თავად აჯილდოებენ თავის რჩეულებს, მომდევნო წელს კი ეს ყოფილი გამარჯვებულნი, აწ კი ახალი ჟიურის წევრები, საჯაროდ, დაჯილდოების ცერემონიალის დროს, „ვალს უბრუნებენ" საკუთარ კეთილისმყოფელს.

ამაღლობელმა ერთ თავის ინტერვიუში ბრძანა, რომ წელს კრებულს გამოსცემს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს არ იქნება „საბას" ორგანიზატორი, ვფიქრობ, სიბილას თუ დებორას დიდი ნათელმხილველობა არ სჭირდება იმის წინასწარმეტყველებას, როგორ „მიინიჭებს" იგი საკუთარი მეგობრების ხელით პრემიას, განა 2006 წელსაც ასე არ მოიქცა?

**— სხვანაირად ნუ მიიღებთ, მაგრამ ეს კითხვა უნდა დაგისვათ. „საბას" კონკურსში თქვენც იღებდით მონაწილეობას. თქვენმა „ვიტა ბრევისმა" რომ ვერ გაიმარჯვა კონკურსში, ამის გამო ხომ არ გაბრაზდით? რომ გაგემარჯვათ, „საბა" მაინც კორუმპირებული კონკურსი იქნებოდა?**

— ჩემი კრებული წელს არათუ გამარჯვებულთა შორის, საერთო სიაშიც კი დიდი, ჯგუფური ინტერნეტ-ბრძოლის შედეგადაა შეტანილი. ამის მერე იგი „შორტლისტებშიც" ვერ მოხვდა. მანამდე 2005 წლის „საბას" ჟიურის წევრმა და წლევანდელმა გამარჯვებულმა გივი ალხაზიშვილმა საკუთარ გამომცემლობაში, როგორც ახლა ირკვევა, თავისივე მიერ „ლევად" გამოცემული ჩემი კრებული „დიოტიმა", საერთოდ დაუმალა ჟიურის, ისარგებლა რა ჩემი უცხოეთში ხანგრძლივი ყოფნით.

ეს ჩემს ნაცვლად რომელიმე სხვა ავტორს რომ მოსვლოდა, გულს გაუხარებდა?

ამდენად, ჩემი რეაქცია მომხდარზე — სავსებით ადეკვატურია. იგი გამოვხატე და გამოვხატავ კიდეც საჯაროდ, გულწრფელად, დოკუმენტირებულად, დემოკრატიულ საზოგადოებაში დასაშვები და აპრობირებული, კანონიერი საშუალებებით.

წლევანდელი „საბა" კი, მიუხედავად იმისა, გავიმარჯვებდი თუ არა პირადად მე მასში, მაინც კორუმპირებულად დარჩებოდა. საკუთარი გამარჯვება ცხადია, გამახარებდა, მაგრამ გულწრფელად იმას მივაწერდი, რომ ჩემი სახით, კონკურსის მესვეურებს დასჭირდათ ერთი დღემდე სუფთად გადარჩენილი „ფეისიც", რათა საკუთარი ძმაკაც-დაქალებისადმი გაწეული სამსახური ამ „ფეისსმილმა" მიჩქმალულიყო.

**— თქვენს გვერდზე, რატი ამაღლობელთან, ასე ვთქვათ, შეკამათება მოგივიდათ. თქვენ მას მისწერეთ, ახლა რაც გამოვაქვეყნე ჟურნალია, მალე 3D-ს ფორმატის კინო იქნებაო. რას გულისხმობდით? რატი ამაღლობელზე რამე კომპრომატების გამოქვეყნებას ხომ არ აპირებთ?**

— რატი ამაღლობელის კორუმპირებულობის ნათელყოფას ჩემი მხრით, რა დამატებითი, რაღაც ფარული კომპრომატების გამოქვეყნება სჭირდება. იგი ხომ თავისი საქმიანობითვე გონიერი საზოგადოების თვალში ისედაც კომპრომეტირებულია, როგორც მთავარი „გმირი" „საბას" პრესტიჟის შელახვისა.

„ჟურნალის შემდგომ კინო"-კი იმას გულისხმობდა, რომ „საბას" მესვეურთა მოსალოდნელ, უკვე ტრადიციადქცეულ, კლანურ გადაწყვეტილებებს მკაცრი შეფასებები მოჰყვებოდა და მოჰყვება, თანაც არა მხოლოდ ჩემი მხრიდან.

**— მოგწონთ თუ არა რატი ამაღლობელის ლექსები?**

— არსებობს ამაღლობელის პოეზიაზე კრიტიკოს თეიმურაზ დოიაშვილის მიერ 2003 წელს გამოქვეყნებული წერილი „პოეზია პაუზაა", რომლის ავტორის კეთილგანწყობაშიც ძნელია ეჭვი შეიტანო.

მაშინ კრიტიკოსი არაერთ არსებით შენიშვნას გამოთქვამდა დამწყები პოეტის პირველი კრებულების ანალიზის საფუძველზე და მომავლისათვის მათ გამოსწორებას აუცილებლად თვლიდა.

დაბეჯითებით ვიტყვი და საჭიროების შემთხვევაში წერილობითაც დავამტკიცებ, რომ ამაღლობელი წლიდან წლამდე უარესად და უარესად წერს. ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, მალე ინერციაც მიელევა და წერას საერთოდ მიანებებს თავს.

**— „საბას" მომავალ კონკურსზე თუ მიიღებთ მონაწილეობას?**

— თუ არ მოხდება „საბას" ახალი ფორმატის" შემუშავება და მისი დისკრედიტებული ჯგუფის შეცვლა, არა მხოლოდ ჩემს, არამედ სხვა „კლანსგარეთა" ავტორთა მონაწილეობას მასში აზრი არა აქვს. მონაწილეობის შემთხვევაში, კორუფციისთვის ნიშნეული „პროპორციულობის წესის" წყალობით, მათ ილბლად, იქნებ პრემიაც მოიპოვონ, ცოტა ხელიც მოიმართონ, მაგრამ ჩემთვის მაინც „თეთრ ზანგებად" დარჩებიან და ვფიქრობ, არც გონიერი საზოგადოების თვალში შეიძენენ რაიმე დამატებით ღირსებას, პირუკუ კი უფრო სავარაუდოა — იქნებ აქამდე ღირსეულ მათ რენომეს რაიმე ჩრდილისმაგვარიც მიადგეს.

მოკლედ, ამ კონკურსს, რომელიც ლიტერატურულ ინტერესებს უფრო და უფრო ემიჯნება და საზოგადოების თვალში ნაცრის შეყრას ემსგავსება, თუ რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, როგორც მონაწილე, პირადად მე ალარასოდეს გავეკარები.

პრემიის მთავარი დამფუძნებლის კეთილი ნების საპირისპიროდ, „საბა" დღეისთვის ლიტერატურას, პოზიტიურ ორიენტირთა გამოკვეთას კი არ ემსახურება, მის ფასეულობათა აღრევას უწყობს ხელს.

**— ამ თემას ოდნავ გადავუხვიოთ. რას ფიქრობთ დღევანდელ ქართველ მწერლებზე, პოეტებზე? ბევრ მათგანს განდიდების მანია სჭირს და თავს გალაკტიონსა და რუსთაველს უდარებს.**

— მეგალომანია საერთოდ პოეტთა ტიპიური სენია, რაც მეტნაკლებად ყველას გვჭირს. უნიჭოთა მოხშირებული „ჩემი სჯობსო" სასაცილოზე სასაცილოა, ხოლო ნამდვილი პოეტებიდან თუ ვინმეს გული ერჩის, რუსთაველსა და გალაკტიონს გაუტოლდეს, საქმითაც უნდა დაამტკიცოს. თუმცა, არ დავმალავ, ძალზე მეპარება ეჭვი დღეს ეს ვინმემ შესძლოს.

თუ ვინმე ჭეშმარიტ სიმაღლეს თავს უტოლებს, მაგრამ რეალურად ვერ შესწვდება, რაღა დარჩენია, ცდილობს ეს სიმაღლე რამენაირად დაამდაბლოს, მაგალითად უხამსი ფსევდო პოსტმოდერნისტული პოეტური წაკითხვა შესთავაზოს გულუბრყვილო მკითხველს. ეპატაჟი არის? — არის! სკანდალით სახელის განთქმაც გარანტირებული აქვს.

**— ხომ არ გამოდის ისე, რომ თქვენ ეჭვქვეშ აყენებთ „საბას" კონკურსში ყველა გამარჯვებულის და ჟიურის ყველა წევრის ღირსებას?**

— წეღან საუბარში „თეთრი ზანგები" ვახსენე, თუმცა მათი მნიშვნელობა არ განმიმარტავს. ჟიურის კეთილსინდისიერი წევრები და „საბას" ღირსეული გამარჯვებულები, ჩემი თვალთახედვით, ასეთნი არიან. რატომ „თეთრი ზანგები"?!

ამერიკაში ცხოვრების გამოცდილებამ დამანახვა ერთი საინტერესო ყოფითი კანონზომიერება. რასობრივ დისკრიმინაციაში რომ არ დაედოთ ბრალი, თეთრკანიანები მუდამ ცდილობენ, საკუთარ კომპანიაში რაღაც მნიშვნელოვან თანამდებობაზე აუცილებლად ამუშაონ ერთი-ორი ზანგი, ჯგუფურ ფოტოშიც მუდამ ჰყავდეთ ორიოდე ასეთი, თუ პრესტიჟულ სამეზობლოს აშენებენ და დიდ წვეულებას იხდიან, ასევე.

„საბას" საქმიანობაშიც ასეთი ე.წ. „პროპორციის პრინციპი" იკვეთება, თორემ ასე რომ არ მოიქცნენ, საზოგადოებრივ პრესტიჟს საერთოდ გამოეთხოვებოდნენ. დაუკვირდით მარტივ არითმეტიკას, ხუთკაციან ჟიურიში სამი თუ ორგანიზატორის უპირობო ახლობელია, განსხვავებული აზრის შემთხვევაში, ორი სამის წინააღმდეგ რამეს გააწყობს?

კომუნისტების დროს, ჩემი მამამთილი, წესიერებითა და პირუთვნელობით განთქმული ალექსი ჭინჭარაული ხშირად შეჰყავდათ უმაღლესის მიმღებ კომისიაში და მერე რაღაც კაპიკებისთვის ზაფხულობით კარგა ხნის ლოდინი უხდებოდა,. ერთხელ შევკადრე, ნეტავ რატომღა ილლით თავს მაგ კომისიებში შესვლით-მეთქი.

მიპასუხა, არ მინდა, ვინმე ნიჭიერი და პატიოსანი დაიჩაგროსო.

ამაზე გულსატკენად მივუგე, თქვენი პატიოსნებით სინამდვილეში კორუფციას უფრო უწყობთ ხელს. რომ ხმაურდება, კომისიაში ხართ, მექრთამეები ფასებს აორმაგებენ, წელს ჩაწყობა ძნელდებაო, ნიჭიერი კი ისევ დაჩაგრული გამოდის-მეთქი.

იმის მერე, როგორც მახსოვს, იგი მიმღებ კომისიაში აღარც შესულა.

**— დღეს წინა პლანზე არიან ის პოეტები და მწერლები, რომლებსაც ფული, ძალაუფლება და ბევრი ნაცნობობა ჰყავს. არიან ისეთებიც, რომელთა ნაწარმოებებს ამ „ცნობად" ავტორთა ნაწარმოებებს ვერც კი შეადარებ, რადგან გაცილებით მაღალი დონისაა, თუმცა, მათ არავინ არ იცნობს. როგორ შეიძლება ეს ავტორები საზოგადოებას გავაცნოთ?**

— დიახ, დღეს პოეტებად თვითგამოცხადებულ პირთა ხელში თვითპიარის მრავალი საშუალებაა მოქცეული: ფული, ძალაუფლება, ნაცნობობა და სხვაც ბევრი რამ, რასაც მარჯვედ იყენებენ გაქნილი უნიჭოები, მაგალითად, წლევანდელი „საბას" პოეზიის ნომინაციაში „ჩაწყობით" გამარჯვებული გივი ალხაზიშვილი — ყოველმხრივ რეპუტაციაშელახული, პროფესიული კრიტიკის მიერ სულ ახლახანს ნეგატიურად შეფასებული „რიგითი მთხზველი", რომლისთვისაც პრემიის მინიჭებითაც ვითომდა კრიტიკის აღორძინების მოსურნე „საბას" ორგანიზატორებმა და ჟიურიმ ასეთი ცინიკური პრინციპულობა გამოიჩინეს.

მოკლედ, რატია და რატის ნაბადი!

ნამდვილ, უფრო მაღალი დონის, მნიშვნელოვან, მაგრამ მიჩქმალულ ავტორებზე კი საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, ხმა უნდა აღიმაღლოს უღირსთა აღზევების წინააღმდეგ, არ დაუშვას ლიტკონკურსების ფარსი და მაშინ ნიჭიც გამოჩნდება და თავის გზას გაიგნებს.

თუ ეს ასე არ მოხდა, ჩვენ თვალწინ ლიტერატურის მაგიერ აღიმართება წიგნებად გამოცემული მაკულატურის მთები, რომელსაც ქვეყნის საცინელ-სავალალოდ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურას დაარქმევენ.

**— მისაღებია თუ არა თქვენთვის ისეთი ნაწარმოებები, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული სექსი, ნარკომანია, ძალადობა? ამ ნაწარმოებების ავტორთა თქმით, დღეს ეს სჭირდება ხალხს, მკითხველს.**

— სუბიექტურად, ასეთი არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ ხელოვნების სხვა დარგებიც ნაკლებად მიზიდავს და ეს ჩემი, როგორც მკითხველის გემოვნების ამბავია, ობიექტურად კი ასეთ ნაწარმოებებს თუ სინამდვილეში იმდენად ღირებული სათქმელი აქვთ, და თანაც, რეალურად, იმდენად მაღალია მათი მხატვრულ-ესთეტიკური ხარისხი, ვინ რას გააწყობს?

მაგრამ აუცილებელია, დემოკრატიული განვითარების გზაზე შემდგარ ჩვენს სახელმწიფოს ამ ტიპის ლიტერატურული თუ არალიტერატურული პროდუქციისადმი კანონმდებლობით უზრუნველყოფილი რეიტინგული სისტემა ჰქონდეს.

**— რა აზრის ხართ ისეთ ნაწარმოებებზე, რომლებშიც შეურაცხყოფილია ქართული ტრადიციები, რელიგია? მაგ. ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სირობა" და სხვ.**

— ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური. მათი მიზანი ეპატაჟის გზით თვითდამკვიდრება და ამ მიზნით, ჩვენს სულიერ ღირებულებათა შეურაცხყოფაა და არა — ღირებული მხატვრული ნაწარმოების შექმნა.

თუმცა დღეს ეს ეპატაჟიც ველარ მუშაობს ქართულ საზოგადოებაში, რადგან მის ზნეობრივ ორიენტირებზე თუნდაც მასმედიის გამოყენებით, იმდენი მხრიდან ხორციელდება ტოტალური შეტევა, რომ უკვე უჭირს ან აღარც შეუძლია, შეინარჩუნოს აუცილებელი კონტრასტული ფონი, ნიადაგი, რომელზეც რაიმე ტიპის ეპატაჟი თავის ბუნებას მკვეთრად და მომგებიანად გამოავლენდა.

იხ. 9 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართველ ჟურნალისტებს ფოტოგრაფებისთვის წაყენებული ბრალდებისა არ სჯერათ

**ორშაბათს რამდენიმე ათეული ქართველი ჟურნალისტი შეიკრიბა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს ინიციატივით. ზოგიერთი მათგანი იყო თეთრ მაისურებში, რომლებზეც გამოსახული იყო გადახაზული ფოტოაპარატი.**

გადახაზული აპარატი გახდა ჟურნალისტების პროტესტის სიმბოლო საქართველოში ცნობილი ოთხი ფოტოგრაფის დაკავებასთან დაკავშირებით, რომლებსაც ბრალი ედებათ ჯაშუშობაში რუსეთის სასარგებლოდ. აქციის მონაწილეთა სიტყვებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯერ კიდევ ვერ წარმოადგინა ვერანაირი მასალები, რომლებიც დაადასტურებდნენ დაკავებულთა ბრალდებას.

ჟურნალისტები მოითხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრთან ვანო მერაბიშვილთან შეხვედრას და ფოტორეპორტიორების საქმისგან საიდუმლოების გრიფის მოხსნას.

ასოშიეიტედ პრესის ყოფილი ფოტოკორესპონდენტი გიორგი აბდალაძე, ევროპის პრესსააგენტოს რეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე, პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე და მისი მეუღლე ნათია გედენიძე ხუთშაბათს ღამით დააკავეს.

შაბათს სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა მათი ორი თვით წინასწარი პატიმრობის შესახებ.

ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ მათზე არის ეჭვი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში და მათ შეუძლიათ დაემალონ გამოძიებას, გააგრძელონ დანაშაულებრივი საქმიანობა, აგრეთვე ხელი შეუშალონ დადასტურებათა შეკრებას საქმესთან დაკავშირებით. ნათია გედენიძე გაათავისუფლეს 10 ათასი ლარის გირაოთი. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ იგი „აღიარებს და ნანობს ჩადენილი დანაშაულის გამო, მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი“.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ ბი-ბი-სის განუცხადა, რომ საბჭო ასევე მოითხოვს, მოეხსნას ადვოკატებს ვალდებულება საქმის დეტალების გაუმჟღავნებლობის შესახებ. ამ მომენტისთვის ადვოკატებს ჩამორთმეული აქვთ უფლება, ილაპარაკონ ფოტორეპორტიორების საქმეების დეტალებზე, ვინაიდან საქმეს მინიჭებული აქვს საიდუმლოების გრიფი.

„იმის გათვალისწინებით, რომ საქმისადმი ვლინდება უზარმაზარი საზოგადოებრივი ინტერესი, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მასალები გაეცნოს საზოგადოებრივი კომისიის წარმომადგენლებს. თუ ამაზე იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობა, ჩვენ წარვუდგენთ ამ კომისიის წარმომადგენელთა სიას“, – განუცხადა ქორიძემ ბი-ბი-სის.

ქორიძემ უკვე გადასცა ჟურნალისტების მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი. მაგრამ ჟურნალისტებმა ჯერჯერობით შეძლეს, მიეღოთ მხოლოდ დაპირება იმის შესახებ, რომ უახლოეს საათებში მათ დაუკავშირდებათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.



საქართველოში დაპატიმრებულმა ერთ-ერთმა ფოტოგრაფმა გიორგი აბდალაძემ მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მოთხოვნით, განუმარტონ დევნის მიზეზი.

„ჩვენ უკვე მეოთხე დღეა დაპატიმრებული ვართ თქვენი უშუალო ბრძანებით, – ნათქვამია მიმართვაში, რომელიც კომპანია „ალია-ჰოლდინგის“ მიერ არის გავრცელებული და ვისთანაც თანამშრომლობდა აბდალაძე. – ოთხი დღეა ვფიქრობ, თუ რას შეიძლებოდა გამოეწვია თქვენი ასეთი გაღიზიანება და რატომ გადაწყვიტეთ ჩვენი დასჯა?“

„თქვენ, რასაკვირველია, კარგად იცით, რომ არც ერთი ჩვენგანი არაფერშია დამნაშავე და ჩვენ მხოლოდ ვასრულებდით ჩვენს პროფესიულ მოვალეობას, – მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს ფოტოგრაფი. – სწორედ ამის გამო დავისაჯეთ?“

საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვაში გიორგი აბდალაძე აღნიშნავს, რომ ის მზად არის, თავი გასწიროს სიმართლისა და სიტყვის თავისუფლებისთვის.

„მე აქედან გამოვალ ან ცოცხალი და მართალი, ან მკვდარი და მაინც მართალი! სწორედ ეს გახდება ქართული მედიის, საერთაშორისო გაერთიანებისა და ჩვენი ხალხის გამოღვიძების საბაბი“, – ნათქვამია დაპატიმრებული ფოტოგრაფის მიმართვაში, რომელიც ამავე დროს აღნიშნავს, რომ არაფერი გაუკეთებია თავისი ქვეყნის საზიანოდ არასოდეს.

უქმე დღეებში „ალია-ჰოლდინგის“ მთავარმა რედაქტორმა დიმიტრი ტიკარაძემაც ასევე დაადასტურა, რომ აბდალაძე აგრძელებს მშრალ შიმშილობას.

სამართალდამცველები და ჟურნალისტები ორი დღის განმავლობაში იბრძოდნენ, რომ მიეღწიათ საქართველოს ხელისუფლებისგან დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება მომხდარის შესახებ. მაგრამ ხელისუფლება აცხადებდა, რომ „ფოტოგრაფების საქმეს“ მინიჭებული აქვს საიდუმლოების გრიფი და შემოიფარგლნენ მხოლოდ მოკლე კომენტარებით, რაც გაჩნდა კიდეც პრესაში, იტყობინება ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურის კორესპონდენტი თბილისში ნინო ახმეტელი.

მხოლოდ შაბათს ბრიფინგის მსვლელობის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაკავებული ფოტორეპორტიორები დაკავშირებული იყვნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან და გადასცემდნენ მათ საიდუმლო ინფორმაციას.

პარასკევს საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა აღშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „ფოტოგრაფების საქმეს“ უკავშირებენ ზემოქმედებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე.

„დაკავებულები არ იყვნენ ცნობილი თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებით, და აღმაშფოთებელია ფაქტი, რომ მათი დაკავება გაიგივებული იქნა თავისუფალ მედიასთან“, – განაცხადა სააკაშვილის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ.

BBC RUSSIAN.com

---

**მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობის მთავარი კურატორის სახელი. რუსეთის რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ლიდერმა განაცხადა, რომ სპეცოპერაციებს საქართველოში, რომლებიც გაეხვივნენ „ჯაშუშურ“ გამოაშკარავებებში, გეგმავს პირადად რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი. პრეზიდენტის გულახდილობიდან გამოსჭვიოდა, რომ მოსკოვი ცდილობდა საქართველოში აფრიკული სცენარი გამოეყენებინა.**

# „მიზანი ნომერი ერთი“

საქართველოს ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ადგილობრივი ოპოზიცია ბრალს სდებს „ჯაშუშომანიაში“, დარწმუნებულია, რომ მისი ქვეყანა რუსეთის სპეცსამსახურებისთვის არის მიზანი № 1.

„ჩვენ – ვართ პირველი მიზანი უზარმაზარი ქვეყნისთვის, რომელსაც გებისტები მართავენ. მე ბევრჯერ მინახავს და მომისმენია, თუ თავად პუტინი როგორ გეგმავს დაზვერვითს ოპერაციებს და ღებულობს უზარმაზარ კმაყოფილებას იმისგან, რომ ამას იგი გეგმავს. რასაკვირველია, ეს თამაშები მიმდინარეობს, მაგრამ არანაირი პარანოია აქ არ არის“, – განუცხადა სააკაშვილმა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ თავის ინტერვიუში, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ორშაბათს.

ასე უპასუხა ქართველმა ლიდერმა შეკითხვას იმის შესახებ, ხომ არ აწუხებს მას ანტირუსული პარანოია.

ამ დროს, როდესაც კომენტირებას უკეთებდა უკანასკნელ „საჯაშუშო“ სკანდალს – თბილისში ოთხი ფოტოკორესპონდენტის დაკავებას, – სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ იცის წვრილმანები და მეტად „შეწუხებულია“ იმით, რომ ეჭვმიტანილთა რიცხვში აღმოჩნდა მისი პირადი ფოტოგრაფი. თუმცა მიაჩნია, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოს. „ბევრი ჩემი ნათესავი აღმოჩნდა გამოძიების ქვეშ და მათ შეექმნათ პრობლემები. მე ამას მთლიანად მივესალმები – ყველამ იცის ჩემი განწყობილება: მე არანაირი შეზღუდვები არ გამაჩნია. თუ ჩემი შვილი აკეთებს ამას, დაე იმუშაონ ჩემ შვილზე“, – დაუმატა მან.

მიუხედავად დარწმუნებისა, რომ არ აქვს პარანოია, საქართველოს ლიდერმა განაცხადა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს სურდათ გამეორებინათ საქართველოში ჩრდილოეთი აფრიკის სცენარი. „რუსეთი ყოველთვის მიდის ანალოგიების გზით. კოსოვო გახდა ანალოგია აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებისთვის. ლიბიაც შეიძლება გახდეს ანალოგია საქართველოსთვის. მაგრამ ეს მასკარადი, რომელიც მათ მოაწყვეს მაისში აქ, არანაირად არ ჰგავს ლიბიას“, – განაცხადა მან.

რუსეთის სპეცსამსახურები, დარწმუნებულია სააკაშვილი, მოქმედებენ ქართული ოპოზიციის ხელითაც, რომელიც, მისი აზრით, მთლიანად ფინანსირდება მოსკოვის მიერ. „ვფიქრობ, თუ რითი დაეხმარნენ რუსეთის სპონსორები ჩვენს ადგილობრივ ოპოზიციას. ეს არის ის, რომ მათ მოახდინეს ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ვაქცინირება ქუჩის პოლიტიკისგან“, – განაცხადა მან და გამოხატა რწმენა, რომ ქუჩის პოლიტიკამ უკვე ამოწურა თავისი თავი მის სახელმწიფოში.

ყოველ შემთხვევაში, ქართველმა ლიდერმა გამოთქვა რწმენა იმისა, რომ მისი ხალხი ამიერიდან აღარ მოიხიბლება ქუჩური ანტისამთავრობო საპროტესტო აქციებით. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ, თავად სააკაშვილის აზრით, მისი პერსონა პრეზიდენტის პოსტზე მთლიანად აკმაყოფილებს ქართველთა უმრავლესობას.

„რუსეთისთვის მე – წარსულის გადმონაშთი ვარ, რომელიც დიდი ხანია უკვე უნდა ჩამოეკიდათ ერთი ადგილით. მაგრამ რატომღაც არავის გამოაქვს ეს ცხედარი. საქართველოს ხალხი არ ჩქარობს მის გამოტანას“, – დარწმუნებულია იგი.

ვერ შეიკავა თავი ქართველმა პრეზიდენტმა, არ გაახსენებინა 2008 წლის აგვისტოს თავისი ვერსიები, კიდევ ერთხელ დასდო ბრალი რუსეთს საქართველო-ოსეთის ომის გაჩაღებაში.

როგორც სააკაშვილია დარწმუნებული, მოსკოვმა გადაწყვიტა, თავს დასხმოდა საქართველოს ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში. „საქართველო იყო იდეალური ტერიტორიის მოცულობის თვალსაზრისით, მოსახლეობის მოცულობის თვალსაზრისით, საბაბის თვალსაზრისით, თუ რატომ უნდა დაწყებულიყო იქ ომი. დიდი სერიოზული შეიარაღების უქონლობის, შეიარაღებული ძალების უქონლობის თვალსაზრისით. ვფიქრობ, რომ 2006 წელს პუტინი ძალიან ახლოს იდგა გადაწყვეტილებასთან, დაგვსხმოდა თავს, მაგრამ ერთ მომენტში იგი შეჩერდა“, – განაცხადა საქართველოს ლიდერმა.

ამავე დროს სააკაშვილმა კვლავ კატეგორიულად უარყო ქართველი სამხედროების რუსეთის სამშვიდობოებზე თავდასხმის ფაქტი, რაც იქცა სიგნალად რუსეთის ოპერაციის დაწყებისთვის საქართველოს სამშვიდობოდ იძულების თვალსაზრისით. „მინდა გითხრათ, რომ რუსი სამშვიდობოებისთვის არავის შეუტევია“, – განაცხადა მან, განმარტა, რომ საქართველოს მხარემ ცეცხლი გახსნა მხოლოდ მოწინააღმდეგის ცეცხლის საპასუხოდ.

ომი, განაგრძო მან, ფაქტობრივად გრძელდება ამჟამადაც, ვინაიდან რუსეთმა, რომელიც საქართველოს არ მიიჩნევს სახელმწიფოდ, თითქოსდა მოაწყო „ტერორისტული აქტების სერია“.

თუმცა თავად აფხაზები და ოსები, დარწმუნებულია იგი, სრულიადაც არ ისწრაფვიან საქართველოსგან შორს ცხოვრებისკენ. მაგალითად, სააკაშვილის მონაცემებით, ლტოლვილთა უმრავლესობა სამხრეთი ოსეთიდან ეროვნებით ოსია. „დევნილთა უმრავლესობა – ოსები არიან. იმიტომ, რომ – ვინ იყვნენ ამ ტერიტორიებზე? რასაკვირველია ოსები“, – განაცხადა მან თავისი სიტყვების დასადასტურებლად.

თავად აზრი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობის შესახებ, სააკაშვილმა ტრადიციულად უარყო, აღნიშნა, რომ ეს არ მოხდება საქართველოს არც ერთი მთავრობის დროს. „ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ტერიტორია დაკარგულია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ დროებით და ნებისმიერი ოკუპაცია ბოლოს და ბოლოს მთავრდება“, – მიაჩნია მას.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ბავშვების მასობრივი მოწამვლა ბულგარეთში – დაზარალდა 26 რუსეთელი**

**ინციდენტი მოხდა ბულგარეთის ქალაქ კიტენის სასტუმრო „გრინ პარკში“. ბავშვები ჰოსპიტალიზებული არიან. მოწამვლის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, შეიძლება იყოს ვირუსი. არის აგრეთვე ინფორმაცია კიდევ ერთი ინციდენტის შესახებ საბავშვო ბანაკში.**

* * *

**ამერიკელი დაიღუპა „რუსული რულეტკის“ თამაშის დროს**



**21 წლის ენტონი მარტინი სვამდა თავისი მეგობრების კამპანიაში და მხიარულად ატარებდა დროს. განთიადისას ახალგაზრდა კაცმა გადაწყვიტა ეცადა ბედი ექსტრემალურ თამაშში. ამერიკელს არ გაუმართლა: ტყვია მას თავში მოხვდა. გამომძიებლები ამბობენ, რომ მარტინმა არ იცოდა, თუ პისტოლეტი დატენილი იყო.**

* * *

**დივერსანტმა ეგვიპტეში გაზსადენის გამანაწილებელი ტერმინალი ააფეთქა**



**შეწყდა გაზის მიწოდება ისრაელსა და იორდანიაში. ტერაქტი მოხდა ისრაელის საზღვარზე ქალაქ ელ-არიშში. ეს უკვე მეორე მცდელობაა ეგვიპტის გაზსადენის აფეთქებისა მიმდინარე წლის აპრილიდან. ცნობები დაზარალებულთა შესახებ არ არის.**

* * *

**ფილიპინებში მოხდა 6,2 მაგნიტუდის მიწისძვრა. გამოცხადდა ცუნამის განგაში**

**სახალინის ცუნამის ცენტრის მონაცემებით, შეიძლება წარმოიქმნას ლოკალური ცუნამის ტალღა, მაგრამ მისი სიმაღლე უმნიშვნელო იქნება – სულ რაღაც ნახევარი მეტრისა. ცენტრი აგრძელებს სიტუაციაზე თვალყურის დევნებას, რაც წარმოიქმნა ფილიპინებზე მიწისძვრის შემდეგ.**



ვულოცავთ!

# ის აქ არი — გულისგულში...



## ვაჟა აზარაშვილი - 75

**ერთი მახსოვს: ზაურ ბოლქვაძე — ბრწყინვალე პოეტი და კასკასა იუმორით დაჯილდოებული კაცი, შეხვედრისას, ნაცნობ-მეგობარს, „ლომო, როგორა ხარო“, რომ შეუძახებდა და მეორე, აგერ, ჩვენს თვალწინაა (ღმერთმა დიდხანს აცხოვროს) ვაჟა აზარაშვილი — გამოჩენილი კომპოზიტორი, უბადლო მელოდისტი, შეხვედრისას „ის აქ არიო“, ხელისაწევით რომ „ჩააპაროლებს“ და კეთილი ღიმილით მოგიკითხავს... ჰოდა, ამ ხუმრობა-ხუმრობაში, ამ „ის აქ არის“ ძახილში, ჩვენი ბატონი ვაჟა უკვე 75 წლისა გამხდარა და ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი უამრავი მუსიკის მოყვარულის გულისგულში შეპარულა, იქ დაუსადგურებია.**

75 წელი ის ასაკია, რომელიც, დამეთანხმებით, „ფუნდამენტურ“ მასალასაც კი ითხოვს ვაჟა აზარაშვილის დონის შემოქმედზე, ერისკაცზე, რომელიც ჩვენს გულისგულში თავისი ადამიანური თვისებებითაც არის სათაყვანო, მაგრამ ამ რამდენიმე თვის წინათ კომპოზიტორმა, მართლაც ისეთი ფუნდამენტური წიგნი-ალბომი გამოსცა სათაურით: „უკან მოხედვის არ მეშინია“, რომ გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა ვამჯობინე.

კრებული კი, იცოცხლეთ, სავსეა მასალებით ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებაზე. ვეცნობით ნიჭიერი კომპოზიტორის გზას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან, ვიდრე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელამდე, ვეცნობით უამრავი უფროსი კოლეგის თუ თანატოლის უშურველ საქებარ სიტყვებს ვაჟა აზარაშვილის მრავალფეროვან შემოქმედებაზე, აბა, მუსიკათმცოდნეების, პოეტების, ჟურნალისტების... აბა, უზღვავი ფოტომასალაო... ბატონი ვაჟა ხომ ალალი კაცია და ვილასთან აღარ დგას კადრში... (ფეხბურთელები ეშურებიან განსაკუთრებით „გამარჯვება „დინამოს“ ავტორთან პოზირებასძ. მის ნიჭს აქებენ უცხოელებიც, მისი კლასიკური თუ საესტრადო მუსიკა, მისი კამერული ნაწარმოებები, ოპერეტები... საზღვარგარეთაც საკმაოდაა ცნობილი და ქართული საკომპოზიციო სკოლის მონაპოვრად მიიჩნევა.

ჰოდა, მას მართლაც არ ეშინია უკან მოხედვის, არ შეშლია „ფორტე“ და „პიანო“, არ ჩაჭრილა კაცობაში...

**ჩვენს ირგვლივ მორიალე ათასი უწმინდურობის შემხედვარე, შეიძლება ითქვას, გულმოკლული, მაგრამ მაინც მხნედ ხვდება 75 წლისთავს და ახალ-ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებსაც გვპირდება...**

**ღმერთმა გაუმარჯოს, ის აქ არი — გულისგულში!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

ქართველები უცხოეთში

# ზაზანოვა: ნოსტალგია პირველი ვიოლინო



**ნიუ-იორკის შაბათის შხაპუნა წვიმიან საღამოს ისე არაფერი უხდება, როგორც ჯაზი. ნიუ-ორლეანიდან გამოგზავნილ ნარინჯისფერ ყდაში ასეთივე ნარინჯისფერი CD დევს, CD-ში — „ტანგო შენთვის“, „დასაწყისის დასასრული“, „სიყვარულში მეზღვაურობა“... ზაზანოვას (ზაზა მარჯანიშვილიძ გზავნილია. ყდის შიდა მხარეს მისი ბენდია — ქართველები, ამერიკელები. პრინციპში, ამერიკელობა სულაც არ ნიშნავს ეროვნებას. და სიტყვები „სპეციალური მადლობა მეგობრებს და მტრებს“. ზაზას მტრები არსებობენ, ნეტა?**

მიყვება: „ვარ ქართველი. სამწუხაროდ, მუსიკალური განათლება არა მაქვს, თუ არ ჩავთვლით დედის შიშითა და დაძალებით დამთავრებულ შვიდწლედს, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო ჩემი




პირველი და უკანასკნელი პედაგოგის, მერი ალავიძის დამსახურება, რომელმაც მეცადინეობა თუ ვერა, მუსიკის მოსმენა მაინც შემაყვარა. სწორედ ამ ქალბატონის მადლით, მუსიკამ ჩემში ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საოცრების სტატუსი დაიმკვიდრა. ასევე მინდა აღვნიშნო ჩემი მუსიკალური „კარიერის“ დასაწყისი — ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ნერგები“, სადაც დასარტყამ საკრავებს ვეზიარე. მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში (თუმცა ახლაც ზუსტად იგივეაძ მუსიკოსობა ყველაზე არაპრაქტიკული პროფესია იყო. ამიტომაც ოჯახმაც ერთხმად გადაწყვიტა, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უნდა ჩამებარებაინა მოკლედ, ჩავაბარე, დავამთავრე, ჯარშიც კი ვიყავი მთელი 2 წლით, მაგრამ მუსიკასთან კავშირი არ შემიწყვეტია.

**— ემიგრაციაც პრაქტიკული გადაწყვეტილება იყო?**

— ემიგრაცია დაგეგმილი არ მქონდა. მეგობარმა ჩემი ჩანაწერები ამერიკაში წაიღო და იქ რამდენიმე სასწავლებელს გაუგზავნა. სულ მალე სხვადასხვა სამუსიკო სკოლიდან მოწვევები მომივიდა. არჩევანი ლოიოლას უნივერსიტეტზე შევაჩერე და ასე მოვხვდი ახალ ორლეანში. 2005 წელს კი 12-წლიანი ემიგრაციის შემდეგ საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე. რაღა დაგიმალოთ და ძალიან ცუდ პერიოდში მომიწია იქ ცხოვრება. შიდა თუ გარე პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე წელიწადნახევრის განმავლობაში უკომპრომისოდ ვებრძოდი ქართულ სინამდვილეს, მაგრამ დავმარცხდი. არც მეტი და არც ნაკლები — სამსახური ვერ ვიშოვე და მივხვდი, რომ მუსიკოსთა წარმატების გარანტი ქვეყნის დელიკატური და ხანგრძლივი მშვიდობაა. სწორედ ამით აიხსნება საქართველოში ათობით (რაც მე ვიციძ ისეთი უნიჭიერესი მუსიკოსის შემოქმედებითი სიკვდილი, რომლებსაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა. მიგრაცია მოქმედებს ადამიანის შემოქმედებაზე. დიდ ნოსტალგიას იწვევს. ეს ისეთი სევდაა, რომელიც ხელოვნების ნებისმიერი ფორმის შემოქმედებაში პირველი ვიოლინოს ადგილს იმსახურებს.

**— თავად რას უწოდებდით თქვენს მუსიკას?**

— მე კი ჩემი მუსიკის შესახებ უფრო მსმენელის აზრი მაინტერესებს. თუმცა ეგეც არ არის აუცილებელი. მუსიკოსობა იმდენად მძიმე ჯვარია სატარებლად, რომ თუ კარგია — უსიტყვოდ უნდა შეირგო, ხოლო თუ ვერ არის მთლად გენიალური — შრომისმოყვარეობას მაინც უნდა სცე პატივი და მუსიკოსი გალანძღვას ასევე სიჩუმით უნდა გადაარჩინო.

**— იყო ქართველი მუსიკოსი ამერიკაში ეს... ჰობია?**

— მუსიკოსს ამერიკაში ცოტათი მეტს უხდიან ვიდრე საქართველოში, ანუ ზუსტად იმდენს, რომ არ მოკვდეს. კიდევ ერთი განსხვავებაა: ამერიკაში უღირსი ვერ აღწევს ისეთ პოპულარობას, როგორც საქართველოში. ამერიკაში ძალიან ბევრი მუსიკოსია წარმატების ღირსი, დასამკვიდრებელი ადგილი კი ცოტაა. საქართველოშიც ცოტაა დასამკვიდრებელი ადგილი და იმასაც ხშირ შემთხვევაში უღირსი ეუფლება. პარადოქსული უბედურებაა, მაგრამ რა ვქნათ, ფარა ახალი შემობრუნებულია და როგორც ზემოთ აღვნიშნე, დელიკატურ-ხანგრძლივი მშვიდობის პირობებში ყველაფერი გამოსწორდება. ჩემი ჰობი, იმპულსი და ცხოვრების აზრიც სიყვარულია. სიყვარული მაწერინებს მუსიკას, სიყვარული მაადამიანებს და ვფიქრობ, რომ მეც და სხვასაც ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ სიყვარული თუ დაგვეხმარება. სიყვარულის ერთ-ერთი ფორმა მუსიკაა. აი, სწორედ მაგიტომაც ვარ მუსიკოსი.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი-ნიუ-ორლეანი**

გვეხმაურებიან

# სიმართლე კი ასეთია...

**ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№ 127), გამოქვეყნდა თამაზ ებანოიძის წერილი სათაურით: „ახალი მიდგომით შექმნილი ნაშრომი“. იგი საინტერესოდ დაწერილ წიგნს „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ ეხება. მე პატივს ვცემ როგორც წერილის ავტორს, ისე მის რესპონდენტსაც, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა იმ აშკარა შეცდომის შესახებ, რომელიც წერილში ნათლად ჩანს.**

წერილში ვკითხულობთ: „მოდით, თუ თქვენი ნება იქნება, აქ პატარა ექსკურსი გავაკეთოთ წარსულში. საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო 1940-იან წლებში გამოვიდა დიდი სამეულის, აკადემიკოსების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის ავტორობით; შემდეგ, 1970-იან წლებში, ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოსცეს საქართველოს ისტორიის რვატომეული; ამრიგად, ეს ჩვენი ოთხტომეული იქნება ქვეყნის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომის დასტამბვის მესამე შემთხვევა“.

მაპატიეთ მაგრამ თქვენი წიგნი თუ წიგნები ასეთი სახის ნაშრომის მესამე შემთხვევა ნამდვილად არ არის და არც იქნება. **რატომ ვივიწყებთ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით 1960 და 1962 წლებში გამოცემულ საქართველოს ისტორიის ორ ტომს?** ქრონოლოგიურად პირველი წიგნი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე, ხოლო მეორე წიგნი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს ვიდრე 1921 წლამდე. აღნიშნული „საქართველოს ისტორიის“ ორტომეულის ავტორები ბრძანდებიან გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები: ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, ვარლამ დონდუა, შოთა მესხია, მამია დუმბაძე, პროკოფი რატიანი, აბელ კიკვიძე, აკაკი სურგულაძე, იური კაჭარავა. ვფიქრობ, აქ კომენტარი ზედმეტია.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოს 1940-იან წლებში გამოსვლას, ამის შესახებ კი ვიტყვი: მართალია ეს წიგნი 1940-იან წლებში სამჯერ გამოიცა, მაგრამ მთავარი იყო მისი პირველი გამოცემა 1943 წელს, გერმანიასთან ომის დროს. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, თუ როგორი მაღალი შეფასება მისცა მაშინ წიგნს იოსებ სტალინმა.

აი, ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების შემდეგ, მე-20 საუკუნის ბოლოს, მეტად სოლიდური „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო გამოსცეს: მარიამ ლორთქიფანიძემ, ნოდარ ასათიანმა, შოთა მესხიამ და ვალერიან გუჩუამ. აღნიშნულმა სახელმძღვანელომ მართლაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლაში.

**დურმიშხან ცინცაძე**

კორუფციის სპეციფიკური სახე

# შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაც კი უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე „საბას“ ჟიურის, ასე ვთქვათ, ინკოგნიტო წევრების ბნელი საქმიანობა

(მეშვიდე გვერდიდან)

**— საქართველოში თუ არსებობენ ლიტერატურული კრიტიკოსები?**

— გნებავთ, მიკერძოებაში ჩამეთვალოს, მაინც ვიტყვი, რომ თუ კრიტიკოსის ცნება პროფესიონალიზმსა და პრინციპულობას ერთდროულად გულისხმობს, ასეთი დღეს საქართველოში ჩემი მეგობარი და საბედნიეროდ არა მხოლოდ ჩემი მასწავლებელი თეიმურაზ დოიაშვილია.

გვყავს სხვა პროფესიონალი კრიტიკოსებიც, რომელთაც არ უცდიათ, ან ხელი აიღეს პრინციპულობაზე, დაივიწყეს იგი ან დაიღალნენ მუდმივი ბრძოლით, ჩვენს საზოგადოებაში მართლაც სიტყვის მთქმელს რომ მოელის და უფრო მშვიდ, მეტნაკლებადშემოსავლიან საქმიანობებს მიჰყვეს ხელი.

არიან ასევე პროფესიონალი კრიტიკოსები, რომელთა ინტერესის საგანს ნაკლებად წარმოადგენს მიმდინარე ლიტერატურული პროცესი და კრიტიკის სხვადასხვა ჟანრებში აპრობირებული მეთოდებით მუშაობენ, უფრო თეორიული საკითხებით არიან დაკავებულნი ან ძირითადად ჩვენს ლიტერატურულ ტრადიციას იკვლევენ, ხოლო არაპროფესიონალ, უპრინციპო, თვითმარქვია კრიტიკოსთა რიცხვი — ლეგიონია.

„საბას“ ნომინაციებში კრიტიკა ცალკე გამოყოფილი რომ ვნახე, გულით გამიხარდა. ნომინანტებად ნუგზარ მუზაშვილი და შოთა იათაშვილი რომ დაასახელეს, ვერც კი დავუშვი, რომ ჟიურის აზრად მოუვიდოდა, ჩემი თაობის გამორჩეული, პროფესიონალი კრიტიკოსის ნუგზარ მუზაშვილის პროფესიონალური წიგნისთვის რაიმე ნიშნით ჩემივე თაობის პოეტის შოთა იათაშვილის ფსევდოკრიტიკული იწილო-ბიწილო შეედარებინა.

როცა ცერემონიალის დროს ჟიურიმ საზოგადოებას ამცნო საკუთარი მორიგი არაორდინარული გადაწყვეტილების — ერთ ნომინაციაში პრემიის ორად გაყოფის შესახებ, (საინტერესო კია, როცა ძალიან დასჭირდება შემფასებელთა ხუთ ხმას ორ თანაბარ ნაწილად რა არითმეტიკის ან ალქიმიის მეშვეობით ჰყოფსძ, და მიკროფონთან მუზაშვილზე ადრე მისწრებულმა შოთა იათაშვილმაც ენის ბორძიკით დაიწყო საუბარი, ველოდი, აი, ახლა იტყვის, მადლობა ჟიურის ამ გადაწყვეტილებისთვის, მაგრამ უარს ვაცხადებ პრემიაზე, რადგან მიმაჩნია, რომ იგი ნუგზარ მუზაშვილს ეკუთვნისო....

თუმცა დღეს ჩვენში, სხვაგან კი შემორჩენილა ამგვარი ღირსება, მაინცადამაინც დღენიადაგ ლუკმაპურის შოვნაზე გადაგებული მეგობარი-კოლეგისაგან რომ მოველოდე?

**Presa.ge**

◉ მოვლენის წინ



# უფლის მადლით

**როგორც მოგეხსენებათ, 14 სექტემბერს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ახალ ზელანდიაში ზედიზედ მესამედ ჩაებმება მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ რაუნდში, სადაც სასტარტო ბრძოლას შოტლანდიელებთან გამართავს.**

მომავალი ფორუმისთვის მზადება „ბორჯღალოსნებმა“ ავსტრალიელი ფიზმომზადების სპეციალისტის გარეთ ადამსონის მეთვალყურეობით დაიწყეს, ხოლო მას შემდეგ, რაც მათ გუნდის თავკაცი რიჩი დიქსონი შეუერთდათ, ერთი კვირის განმავლობაში ისევ თბილისში განაგრძობენ ოფლისღვრას და მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრებიან დასკვნით შეკრებაზე საფრანგეთის განთქმულ საკურორტო ქალაქ კანში.

ლაჟვარდოვან სანაპიროსა და ოკეანეთში ხანგრძლივი ვოიაჟის წინ ჩვენი მორაგბეები სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო. უწმინდესმა და უნეტარესმა დალოცა „ბორჯღალოსნები“ და მსოფლიოს თასზე წარმატებით გამოსვლა უსურვა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ფეხბურთი

# დებიუტის მოლოდინში

**დღეს ზემო იმერეთში დიდი სტუმრიანობაა – „ზესტაფონი“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო შეხვედრაში მოლდოვას „დაჩიას“ მასპინძლობს. მატჩი დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე 21 საათზე დაიწყება და მას თურქი მსაჯი ჰალიზ ეზიქაია გაუძღვება.**

მოლდოველთა 50-კაციან დელეგაციაში კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად იქაური პოლიტიკოსები და ბიზნესმენებიც არიან ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ვლად ფილატის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამორიცხული არც ისაა, ამ ბრძოლაზე დასასწრებად საქართველოში მეგობარი სახელმწიფოს პრეზიდენტი მარიან ლუპუც ჩამოფრინდეს.

სხვათა შორის, სტუმრებს სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იგორ დობროვოლსკი ავარჯიშებს, მის გუნდში კი ჩვენი თანამემამულენი დავით გამეზარდაშვილი და ლევან კორღალიძე თამაშობენ, თუმცა ეს უკანასკნელი ტრავმის გამო დღეს პარტნიორებს ვერ დაეხმარება.

რაც შეეხებათ ყვირილასპირელებს, მათ ორკვირიანი წინასასეზონო შეკრება ავსტრიაში გაიარეს, სადაც ოთხი სპარინგი გამართეს: ბუქარესტის „სტიაუასთან“ – 0:1, ლვოვის „კარპატისთან“ – 0:0, „ბაზელთან“ – 0:4 და კრაიოვას „უნივერსიტატიასთან“ – 3:2.ამ შედეგებმა არავინ დააბნიოს – ზესტაფონელთა მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** საწყის შეხვედრებში თავის გამოჩენის შანსი სათადარიგოებს მისცა და ოპტიმალური შემადგენლობა მხოლოდ დასკვნით მატჩში დააყენა.



აკი, დასძინა კიდეც იმერელთა თავკაცმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ: „შეკრებას დადებითად ვაფასებ. შესანიშნავ პირობებში ვემზადებოდით და გუნდში სამუშაო განწყობა იყო შექმნილი. საკონტროლო ბრძოლებში ყურადღება სხვადასხვა ტაქტიკური სქემის დახვეწაზე გავამახვილეთ, ამიტომ მათი შედეგები ნაკლებად მნიშვნელოვანი გახლდათ. ამ თვალსაზრისით თუნდაც შვეიცარიელებთან დიდი ანგარიშით წაგებულ თამაშშიც შეინიშნებოდა დადებითი მომენტები. მოკლედ, მოსამზადებელი პროცესი გრძელდება და შევეცდებით, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი ქომაგებს ოფიციალურ შეხვედრებში ვაჩვენოთ“.

დავძენთ, რომ ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მატჩის ტელერეპორტაჟს არც ერთი ნაციონალური არხი არ გადმოსცემს. ამ დროს ხომ მაყურებელს ნაირ-ნაირი რეალითი-შოუ, ტვინის გამოსარეცხი სერიალი და საღეზინფორმაციო გამოშვება ელოდება.

**გიორგი შოთაძე**

◉ მინისტერიალი – 2011

# ქვეყანა ხომ ააყვავეს

**როგორც იცით, დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე გრძელდება მინისტერიალის თასის გათამაშება 20 სამინისტროსა და სამთავრობო უწყების გუნდის მონაწილეობით 8 სახეობაში.**



კლუბ „ბილში“ გამართული მობილიარდეთა ტურნირის გამარჯვებულმა თავდაცვის სამინისტრომ ფინალში 5:4 სძლია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ხოლო მესამე პრიზიორი პრეზიდენტის ადმინისტრაცია გახდა.

გაუწყებთ რამდენიმე სათამაშო სახეობის ნახევარფინალური შეხვედრების შედეგებსაც.

**ფეხბურთი**

სპორტი და ახალგაზრდობა – თავდაცვა 3:1, შსს – პრეზიდენტის ადმინისტრაცია 4:0.

**ბომბარდირები:** მიხეილ მაზიაშვილი (შსსძ – 25 გოლი, ლადო ვარძელაშვილი (სპორტი და ახალგაზრდობაძ – 20 გოლი.

**კალათბურთი**

შსს – თავდაცვა 59:47, სპორტი და ახალგაზრდობა – იუსტიცია 37:34.

**ფრენბურთი**

განათლება და მეცნიერება – თავდაცვა 2:1, სპორტი და ახალგაზრდობა – შსს 2:0.

**გუნდურ ჩათვლაში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:** თავდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა – 40-40, შსს – 25, იუსტიცია – 20, პარლამენტი – 15, სასჯელაღსრულება, ლტოლვილთა და განსახლება – 10-10, უზენაესი სასამართლო, ჯანდაცვა, განათლება და მეცნიერება, პრეზიდენტის ადმინისტრაცია – 5-5 ქულა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ კოპა ამერიკა

# როგორც იქნა!



**ხომ იცით, როგორ მძვინვარებს კუთხეში მიმწყვდეული მხეცი. ზუსტად ასეთ მდგომარეობაში შეხვდა არგენტინაში მიმდინარე კოპა ამერიკის ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი – მასპინძელთა ეროვნული ნაკრები, რომელსაც ორი სასტარტო შეხვედრის ფრედ დასრულების შემდეგ ტურნირის ნაადრევად დატოვების საფრთხე შეექმნა.**

ბედად, სერხიო ბატისტას გუნდს ამჯერად მეტოქეობას კოსტა-რიკის გუნდი უწევდა, რომელიც ყველა პარამეტრით უფრო მსუბუქ წონით კატეგორიას განეკუთვნება.

ასე რომ, სავსებით ლოგიკურია მასპინძელთა მიერ მოპოვებული მსუყე გამარჯვება – 3:0 (აგუერო – 2, დი მარიაძ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კორდობაში გამართულ „ცალკარაში“ ალბისელესტემ ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა, ხოლო ორი საგოლე გადაცემა მესიმ მიითვალა.

**ასე რომ, „ა“ ჯგუფში ჯგუფური რაუნდი ასე დამთავრდა:** კოლუმბია – 7, არგენტინა – 5, კოსტა-რიკა – 3, ბოლივია – 1 ქულა.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ რუკასთან

# ახალი ქვეყანა ფეხბურთით იწყებს




**ალბათ უკვე იცით, შაბათს მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა ახალი სახელმწიფო – სამხრეთ სუდანი. პირველი, რაც ამ ქვეყანამ მეორე დღესვე გააკეთა, იყო ფეხბურთში მისი ნაკრების საერთაშორისო მატჩი. ნაკრები სამხრეთ სუდანის ოფიციალურად გამოცხადებამდე სამიოდე კვირით ადრე შექმნეს. თუმცა შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო ბევრმა ფეხბურთელმა, რადგან ისინი კლუბებმა არ გამოუშვეს.**

ამჯერად სასწრაფოდ შექმნილი ნაკრების მეტოქე იყო კლუბი „ტასკერი“, მეზობელი კენიიდან. გაიმარჯვეს სტუმრებმა 3:1, მაგრამ გულშემატკივრებმა, სამხრეთ სუდანის დედაქალაქ ჯუბეში სტადიონი რომ გაავსეს, ოვაციები გაუმართეს თავიანთ გუნდს.

ახლა ფიქრობენ ფიფაში შესვლაზე, რომელიც დღეს 208 ასოციაციას აერთიანებს, პროცედურა ძალზე რთული და ხანგრძლივი იქნება. ჯერ ქვეყანამ უნდა მოიპოვოს საერთაშორისო აღიარება. ახალი ფედერაცია კი უნდა შევიდეს ფეხბურთის აფრიკის კონფედერაციაში და იქ ორი წელი დაჰყოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი კანდიდატურის წარდგენა ფიფაში.

◉ ინტერნეტიდან

## რვაფეხას სპილო შეცვლის?

**ფეხბურთში შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე სახელგანთქმულ რვაფეხა-წინასწარმეტყველ პაულს, რომელიც უკვე გარდაიცვალა, მაგრამ მაინც დატოვა ნათელი ხსოვნა, როგორც ამბობენ, შეცვლის სპილო ნელი, რომელიც ახლა გერმანული ჰოდენჰაგენის სერენგეტის ბუნებრივ პარკში ცხოვრობს. დღემდე ის არცერთხელ არ შემცდარა თავის პროგნოზებში და ყველა შანსი აქვს ფეხბურთის წინასწარმეტყველად გახდომისა.**

როგორც ამ პარკის წარმომადგენელმა განაცხადა, ნელიმ გამოიცნო ფეხბურთში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ყველა მატჩის შედეგი. მათ შორის მასპინძლების დამარცხება მეოთხედფინალში იაპონიის ნაკრებთან. თავის არჩევანს შორსმჭვრეტელი სპილო ასე აკეთებს: ერთმანეთის გვერდით დგას ორი კარი, მოწინააღმდეგეებს რომ განასახიერებს, ნელი ცდილობს ბურთი შეაგდოს ერთ-ერთ მათგანში. ის გუნდი რომლის კარშიც ბურთი მოხვდება, მარცხდება.



ასე იყო გერმანია-იაპონიის შეხვედრისასაც. სპილომ ხუთჯერ სცადა ბურთის გატანა „იაპონელთა კარში“, მაგრამ ვერცერთხელ ვერ მოახერხა. გერმანელი ქალები მართლაც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, ვიდრე მათი მეტოქეები ამომავალი მზის ქვეყნიდან. მეექვსე ცდაზე „წინასწარმეტყველმა“ ბურთი „თავისიანების“ კარში მოათავსა და იაპონელებმაც ბოლო წუთებზე გაიმარჯვეს – 1:0.

გამორიცხული არაა, სწორედ ნელი გახდეს საფეხბურთო წინასწარმეტყველების სიმბოლო.

## მძლეოსნები კარგად ირჯებიან

**სპორტის სილამაზის – მძლეოსნობის – წარმომდაგენლებმა ზედიზედ ორჯერ მოსინჯეს ძალები პარიზსა და ბირმინგემში „ბრილიანტის ლიგის“ მერვე და მეცხრე ეტაპზე. მართალია, ძველმა მეტოქეებმა – იამაიკელმა პაულმა და ბოლტმა კვლავ ისახელეს თავი, პირველმა 100 მეტრზე – 9,91 და მეორემ – 200 მეტრზე – 20,03 სირბილში. მაგრამ ახალი სიტყვა არ უთქვამთ.**

სამაგიეროდ, თავი ისახელეს მათმა ქალმა კოლეგებმა, რომელთა გვარების შემდეგ აღინიშნა – „სეზონის საუკეთესი შედეგი მსოფლიოში“ – ასე იყო, მაგალითად, 5000 მეტრზე სიზრილის შემდეგ ეთიოპიელი დეფარის ფინიშთან მისვლისას – 14,29,52. ან კიდევ 400 მეტრზე ბარიერიანი დისტანციის დაძლევისას ჩეხი ჰეინოვას გვართან – 53,29. სამმაგ ნახტომში ასევე ისახელა თავი კუბელმა სავინიმ – 14,99. შუბის ტყორცნაში კი გერმანელმა ომერგფილმა – 68,01. ეს ყოველივე პარიზში მოხდა.



ბირმიგემში შუბის ტყორცნაში ყველა დაჯაბნა ნორვეგიელმა ტორკელდსენმა – 88,30, „სუსტი სქესის წარმომადგენლებიდან კი აქ თავი ისახელა დაბრკოლებიან 100 მეტრზე მორბენალმა ავსტრალიელმა პერსონმა – 12,48.

**დიდი მეოცესაუკუნელი**

# მართალი წიგნი აჭარელ ხევისბერზე

*წიგნის სუპერზე წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის — თაყაიშვილის სიტყვებია ამოტვიფრული: „გაოცებული ვარ ჰაიდარ აბაშიძის ერუდიციითა და გამბედაობით... ჰაიდარი შესანიშნავი სიმტკიცითა და შეუპოვრობით იცავს თავის ქვეყანას, კალმითა და საქმით იბრძვის დედასაქართველოსთვის აჭარის დასაბრუნებლად. არავის და არაფერს უშინდება, არც დასჯას, არც გადასახლებას — განა ეს გმირობის ტოლფასი არ იყო იმ დროს?! ჰაიდარ აბაშიძე ღირსია, რომ საქართველოს ისტორიაში გმირად დარჩეს!“*

*დარჩა კიდეც. ვინც ცნობილი პუბლიცისტის მარადი ანასაშვილის წიგნს — „აჭარის ხევისბერს“ გაეცნობა და გულდინჯად წაიკითხავს, ერთმნიშვნელოვნად დარწმუნდება, რომ ჰაიდარ აბაშიძე ჩვენი ეროვნული მთლიანობისთვის მებრძოლი ნამდვილი ხევისბერი იყო.*




*წიგნის გონიერ ავტორს, ყვარლის საპატიო მოქალაქეს, გამოცდილ და ხელხვავიან კალმოსანს მარადი ანასაშვილს ზღვა მასალა გადაუმუშავებია, თემატურად დაულაგებია, ჰაიდარ აბაშიძის ღირსეული შთამომავლების დახმარებით ჯერაც გამოუქვეყნებელი უძვირფასესი ჩანაწერები მოუძიებია და დიდი აჭარელი ქართველის დაუვიწყარი პორტრეტი დაუხატავს. „აჭარის ხევისბერი“ ავტორის მეხუთე წიგნია, რომელიც საფუძვლად დაედება სერიას: „გამოჩენილ ადამიანთა ბედი“.*

*„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ავტორს ახალ შემოქმედებით გამარჯვებას და მკითხველს სთავაზობს წიგნის რედაქტორის წინასიტყვაობას:*

როგორც ერთი ადამიანი არა ჰგავს მეორეს, არც ოდესმე ჰგავდა და არც მომავალში დაემსგავსება, ასეა საუკუნეთა საქმეც. მეოცე საუკუნე, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საუკუნეა. გამორჩეულია ძალიან ბევრი რამით, მაგრამ, უწინარესად, თავისი ადამიანებითა და იმ ცხოვრებით, რომელსაც ეს ადამიანები ქმნიან.

ეს ადამიანებიც, ცხადია, განირჩევიან ერთმანეთისგან, ზოგნი მარტო თავიანთ ჯამში ჩაიყურებიან, საზოგადოებისკენ თვალსაც არ აპარებენ, როგორც ჩუმად მოიხილეს წუთისოფელი, ასევე ჩუმად გაივლიან თავიანთ წილ დროჟამს და ჩუმად გადააბიჯებენ გაღმა სოფელში. ზოგჯერ, რასაკვირველია, რჩეულნი, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ, ყოველთვის პირადულზე მაღლა დგანან და აჩქარებენ საზოგადოების წინსვლას.

სწორედ ასეთ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ჭეშმარიტად ღირსეული მეოცესაუკუნელი ჰაიდარ აბაშიძე, მუსლიმანი ქართველი, რომელმაც მთელი თავისი მღელვარე ცხოვრება საქართველოს სულიერ გაერთიანებას შესწირა, რაც არაფრით ნაკლები არ არის ქვეყნის დაქუცმაცებული მიწა-წყლის ერთ მთლიან, ეროვნულ საზღვრების მქონე მიწა-წყლად გაერთიანებაზე.

როგორც სულიერი გაერთიანების, ისე ქვეყნის მიწა-წყლის ერთ მთლიანად ქცევის პროცესები, ჩანს, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის შეუმჩნეველია, მაგრამ ისეთი გულმხურვალე მამულიშვილისთვის, მიუხედავად რელიგიური მიკუთვნილობისა, როგორიც ჰაიდარ აბაშიძე იყო, შეუმჩნეველი კი არა, მუდამ ცხოვრების მთავარი მიზანია, რაც სამაგალითო და მისაბაძი ხდება სხვებისთვისაც და საბრძოლო ენერგიით ავსებს ხალხს.

აი, ამ სამაგალითო და მისაბაძი კაცის ჭეშმარიტად დიდ ცხოვრებას ეძღვნება ცნობილი ჟურნალისტის მარადი ანასაშვილის, ღმერთმანი, საოცარი სიყვარულით დაწერილი ეს წიგნი, რომლისთვისაც სათაურიც („აჭარის ხევისბერი“ძ ზედგამოჭრილი მოუძებნია, ფრიად და ფრიად კეთილად გარჯილ ავტორს.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ამ სახის პირველი წიგნი იყოს ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეული პირველი მერცხალი რომ არის, უთუოდ ჭეშმარიტებაა. ჩემი ნათქვამის სიმართლეს ბეჯითი მკითხველი უმალ მიხვდება. ამ წიგნით იქნებ სათავეც დაედოს ჩვენში ისეთ სერიას, ზოგიერთ ქვეყანაში „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ რომ ჰქვია.

ქართული სიტყვის დიდ პაპას, სულხან-საბას თავის „სიტყვისკონა“-ში შეტანილი აქვს ერთი ძველი საზღვაო სიტყვა — დასვინაღვრება, რომელსაც ასე განმარტავს: ესე არს ზღვათა მოსინჯვა, რათა ნავი არა შეახეთქონ მეჩეჩთა, გინა მდინარესა შინა ბადის დასაბმელი არ იყოს.

ჰაიდარ აბაშიძე, აჭარის ეს მართლაც დიდი ხევისბერი, სწორედაც თავისი თანადროული ცხოვრების დასვინაღვრებით დაკავებულ კაცად წარმომიდგენია.

და იგი, ნამდვილად დიდი ზღვისპირელი ქართველი იმასაც უთუოდ იმსახურებს, რომ ხევისბეროზასთან ერთად ხმელეთით თუ ზღვით მომავლისკენ დაძრული საქართველოს ერთ-ერთი ალალი დამსვინაღვრებლის სახელიც ეწოდოს... რომელ დამსვინაღვრებელთა წყალობით ბოლოს და ბოლოს შეძლებს ჩვენი აწეწილ-დაწეწილი და მრავალტანჯული ქვეყანა ყოველგვარ მეჩეჩთა გვერდის ავლით გონიერ სვლას.

ეს ყველაფერი კი მარადი ანასაშვილის ამ კარგმა წიგნმა მათქმევინა.

**გურამ გოგიაშვილი**

**გამოიცა**

# „ცისკრის“ ახალი ნომერი

**გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მე-6 ნომერი. რუბრიკით „წარსული აწმყოში“ გამოქვეყნებულია ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“, და ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავთან დაკავშირებით — სანდრო რაზიკაშვილის მოგონებები — „ჩემი ძმა ვაჟა-ფშაველა“.**




ჟურნალში საინტერესო მასალებს წაიკითხავთ. „უჯრაში ჩაკეტილი ლექსები“ ამჯერად **მიქელ პატარიძის** პოეზიას გვთავაზობს, ხოლო რუბრიკა „ასი სამარცხვინო ლექსი“ ფრიდონ ნაროუშვილს წარმოგვიდგენს.

**„პროზა“** გაგაცნობთ **ზაირა არსენიშვილის** მოთხრობას „ქარი, ამწევი ფარდის“ და **ლადო კილასონიას** ნოველას „ქართლელი ყასაბი“, **„პოეზია“** — ოტია იოსელიანის, ალეკო გაბელაიას, რაულ ჩილაჩავას, ირაკლი ციგროშვილის, ზაზა ბიბილაშვილის ლექსებს.

რუბრიკით **„პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი“** წარმოდგენილია ანზორ აბულაშვილი და ვახტანგ ხარჩილავა... ხოლო **„პოეზიის უსახელო უფლისციხელები“** ამჯერად **გიორგი ჭოლაკაურის** შემოქმედებას გვამცნობს.

„ცისკრის“ ახალ ნომერში წაიკითხავთ **ლალი ავალიანის** ლიტერატურულ პორტრეტს ლია სტურუაზე, **თეიმურაზ დოიაშვილის** კრიტიკულ წერილს **„გივი ალხაზიშვილის ეროტიკულ-სექსუალური ლირიკა“, ოლეგ გოლიაძის** რეცენზიას გიორგი ალიბეგაშვილის მონოგრაფიაზე „წმ. ეფრემ მეორე და ქრისტიანული კულტურის საკითხები“. რუბრიკით „ის, რაც არასოდეს დაბეჭდილა“ ჟურნალი აგრძელებს **არჩილ გარსიაშვილის** წერილს „ჩემი თაობის წუთისოფელი“ გამოქვეყნებას.

აქვე გაეცნობით **ტომაზ სტერნზ ელიოტის** სიტყვას, რომელიც წარმოთქვა ნობელის პრემიის მიღებისას (ინგლისურიდან თარგმნა **გვანცა ჯობავამ**ძ.

გარეკანის შიდა გვერდზე გაეცნობით **დავით აღმაშენებლის** ლექსს „გალობანი სინანულისანი“. ამ ლექსით ჟურნალი აგრძელებს ახალ რუბრიკას „ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა“.

განახლებული „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელია სერგი კაკალაშვილი, რედაქტორის მოადგილეები: ანდრო ბუაჩიძე, ელზა მეტრეველი, პოეზიის განყოფილების გამგე — ბადათერ არაბული, მხატვარი — გიორგი წერეთელი. სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეა ნოდარ გრიგალაშვილი.

ასე რომ, შეიძინეთ, იკითხეთ ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი „ცისკარი“.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**ინფორმაცია**

## 27 წლის ახალგაზრდა მტკვარში დაიხრჩო

**ბორჯომის** რაიონის სოფელ ქვაბისხევში 27 წლის ლევან მაისურაძე მდინარე მტკვარში დაიხრჩო.

გარდაცვლილის ახლობლების თქმით, მაისურაძე თანასოფლელს თიბვაში ეხმარებოდა. მან მდინარის გავლით მეორე ნაპირზე გადასვლა დააპირა, რა დროსაც, სავარაუდოდ, მდინარემ წაიღო.

თვითმხილველების თქმით, იგი მდინარეში შესული დაინახეს, გამოსული კი არავის უნახავს. ლევან მაისურაძის ცხედარი დინებამ წაიღო. მისი პოვნა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

შემთხვევის ადგილზე სამაშველო ბრიგადა და საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული. ლევან მაისურაძე ადგილობრივი მცხოვრები იყო და რაიონულ სახანძრო სამაშველო სამსახურში მუშაობდა.

ჯი-ეიჩ-ენი

მეუღლე გოია, შვილები ანი, გიორგი საბაძეები, სიძე გიორგი ფოფხაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა ზაქარიას ასული წერეთელი-საბაძისა

პანაშვიდი 13, 14 VII, 18 სთ. ირაკლი აბაშიძის 22ა, გამოთხოვება წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარში (ვერის სასაფლაოძ 14 VII, 15-17 სთ.

---

მძახლები მანანა, ნუგზარ ფოფხაძეები ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყებიან

მანანა წერეთელი-საბაძის

გარდაცვალებას.

---

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ექიმთა მრავალი თაობის აღმზრდელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შოთა შურღაია

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**მოგვხედეთ!**

## ფშავში საქონლის გაჩენაზე ეჭვობენ!

**ათი-თორმეტი** დღის წინათ დუშეთის რაიონის სოფელ შუაფხოსა და მის მიმდებარე სოფლებში საშინელმა ავადმყოფობამ იჩინა თავი. დაიხოცა ძროხები, ცხვრები, ძაღლები, კატები. მივმართეთ დუშეთის რაიონისა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო გამგეობებს. გამოიგზავნა სპეციალისტები, როგორც იყო, მათი დახმარებით 10 ივლისს დავმარხეთ დახოცილი პირუტყვი. სპეციალისტების აზრით ავადმყოფობის დადგენა შეიძლება მხოლოდ 20-25 დღის შემდეგ.

იქნებ რაიმე საშუალება არსებობს რესპუბლიკაში, რათა უფრო ადრე, უფრო შეუცდომლად დავადგინოთ, რა უბედურება დაგვატყდა თავს. ჩვენგან არ გესწავლებათ, ალბათ ამ კუთხეში სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს კარანტინი და მოსახლეობასაც უნდა გავუწიოთ ხელმისაწვდომი, წინასწარი საკონტროლო სამედიცინო დახმარება.

დუშეთის რაიონის ს. შუაფხოს მოსახლეობის დავალებით

**იოსებ ციგროშვილი, იოსებ ჯაბანიშვილი, ლაზარე ელიზბარაშვილი**

11.VII.2011 წ.

**დაზუსტება**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 12 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის საკონკურსო განცხადება, რომელშიც გაიპარა უზუსტობა.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნან საინჟინრო დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, მეცნიერებისა და მრეწველობის თვალსაჩინო ორგანიზატორები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაში მოღვაწე **პროფესიონალები... უნდა იყოს პროფესორები.** შემდეგ როგორც ტექსტშია.

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: შეუძლია თუ არა დამსაქმებელს, თვითნებურად შეცვალოს შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და კონკრეტულად რა მიიჩნევა შრომის ხელშეკრულების არაარსებით ან არსებით შეცვლად?**

**ლეილა კობერიძე**

**პასუხი:** დამსაქმებელს უფლება არა აქვს, თვითნებურად შეცვალოს შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. კანონის თანახმად, შრომის ხელშეკრულების არსებითად ან არაარსებითად შეცვლა დასაშვებია მხოლოდ დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეთანხმებით.

შრომის ხელშეკრულების პირობების, არაარსებით შეცვლად მიიჩნევა: დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და უკან დაბრუნება მოითხოვს არაუმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთან არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს, სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება, არაუმეტეს 90 წუთით; ისეთი ცვლილება, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის შეცვლით და შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების ზუსტ შესრულებას, მაგრამ არ ცვლის მის ძირითად არსს.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთდროულად ორის შეცვლა მიიჩნევა შრომის ხელშეკრულების პირობების არსებით შეცვლად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## დაიჯესტი

### „ფასდაუდებელი“ ავტოგრაფები

**მოგეხსენებათ, ცნობილ, მით უმეტეს ისტორიულ პიროვნებათა ავტოგრაფების შემგროვებლები მსოფლიოში მრავლად არიან,**



**მათ შორის საკმაოდ მდიდრებიც, რომლებიც მზად არიან მათთვის სასურველ ფაქსიმილეში ძალიან დიდი ფული გადაიხადონ.**

სადღეისოდ მსოფლიოში ცნობილია დიდი ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის უილიამ შექსპირის მხოლოდ ექვსი ავტოგრაფი, რომელთაგან თითოეული ხუთი მილიონი დოლარი ღირს; ამერიკის შეერთებული შტატების მე-16 პრეზიდენტის აბრამ ლინკოლნის ხელმოწერა მონათა გათავისუფლების დეკლარაციაზე 1991 წელს აუქციონზე 748 ათას დოლარად გაიყიდა; ლეგენდარული ანსამბლის „ბითლზის“ ერთ-ერთი დამაარსებლის ჯონ ლენონის ავტოგრაფიანი ბოლო ფირფიტა 2003 წელს 525 ათას დოლარად გაიყიდა, ხოლო გიტარისტების ჯიმი პეიჯისა და ჯიმი ჰენდრიქსის ავტოგრაფები, შესაბამისად, 490 და 410 ათასი დოლარი ღირს.

### ამინდი იცვლება, თავს როგორ გრძნობთ?

**საშუალო და, მით უმეტეს, უფროსი ასაკის ადამიანები ამინდის შეცვლას ხშირად სინოპტიკოსებზე გაცილებით უკეთ წინასწარმეტყველებენ. მათი „საიდუმლო“ არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს – ისინი, უბრალოდ, მეტეოდამოკიდებულნი არიან, რაც ზოგჯერ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.**

მეტეოდამოკიდებულების თაობაზე პირველი ჰიპოკრატე ალაპარაკდა; მეტეოდამოკიდებული ადამიანები მგრძნობიარენი არიან ატმოსფერული წნევის ცვალებადობის, ჰაერის ტენიანობის, ჰაერში ჟანგბადის შემცველობის შეცვლის, აგრეთვე მაგნიტური ქარიშხლების მიმართ; იმ ადამიანთა ოდენობა, ვისი კარგად ყოფნა ამინდზეა დამოკიდებული, ქალაქებში გაცილებით მეტია, ვიდრე სოფლად; ინფარქტების, ჰიპერტონული კრიზებისა და ინსულტების 70 პროცენტი სწორედ მაგნიტური ქარიშხლების დროს ხდება; მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამინდის ცვალებადობის დამჭერი თავისებური „ანტენები“ საძილე არტერიის კედლებზეა განთავსებული; გარემოს ცვლილებებისადმი სხვებზე უფრო მგრძნობიარენი შვიდთვიანი და საკეისროთი გაჩენილი ბავშვები არიან; მეტეოროლოგიურად არახელსაყრელ დღეებში არ არის რეკომენდებული ბევრი ხორციანი, ქონიანი და შემწვარი საკვების მიღება; წელიწადში დაახლოებით 18-20 დღე ადამიანის ჯანმრთელობისთვის ჭეშმარიტად მძიმეა.



### მამაკაცები ქალებზე ბედნიერები არიან?



**ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ხანა ადამიანს, თურმე, 50 წლის მიღწევის შემდეგ უდგება, – ეს დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა 350 ათასი კაცის გამოკითხვის შედეგად გამოიტანეს.**

თანაც, ბედნიერების შეგრძნების მრუდი ისე იცვლება, რომ 20-დან 50 წლამდე მონაკვეთში ადამიანი თავს ყოველწლიურად სულ უფრო მეტად უბედურად გრძნობს, 50 წლის მიღწევის შემდეგ კი ბედნიერების შეგრძნება ძალუმად უბრუნდება. მეცნიერთა აზრით, ეს კანონზომიერება ემოციების მოთოკვის უნარს უკავშირდება.

და კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება: თურმე ქალები მამაკაცებზე გაცილებით იშვიათად უწოდებენ თავს „ბედნიერს“.

### ნუ დაავადდებით „ექიმ ჰაუსით“!



**ამერიკელ ფსიქოლოგთა აზრით, „ექიმ ჰაუსის“ მსგავსი „სამედიცინო“ სერიალებით გატაცება მაყურებელთა ფსიქიკისთვის საფრთხის შემქმნელია. ამ ტიპის, ასე ვთქვათ, „ტელეშედევრები“, რომლებიც იშვიათი და მეტად უჩვეულო ავადმყოფობებისადმია მიძღვნილი, მაყურებლებს ამ სნეულებათა ნიშნებს საკუთარ თავში აძებნინებს.**

გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ „სამედიცინო“ სერიალთა რეგულარული ნახვა მაყურებლებში იშვიათი სნეულების შეყრის შიშს მნიშვნელოვნად ზრდის. ამის შედეგად, მრავალი მათგანი სიცოცხლის შეგრძნების სიხარულს კარგავს. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალში საცემია ახალგაზრდა, ჯანმრთელ მაყურებლებში.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ავსტრიაში მარია-ტერეზას დროს სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა 16 წელს შეადგენდა, ძველ რომაელებთან – 30-ს, XIII საუკუნეში მონღოლებთან – 56 წელს, ანუ 14 წლის ასაკიდან 70 წლამდე.

● ამერიკის შეერთებული შტატების ფულის სხვადასხვა კუპიურაზე გამოსახულია პორტრეტები: 1 – ვაშინგტონი, 2 – ჯეფერსონი, 5 – ლინკოლნი, 10 – ჰამილტონი, 20 – ჯექსონი, 50 – გრანტი, 100 – ფრანკლინი, 500 – მაკკინლი, 1000 – კლივლენდი, 5000 – მედისონი, 10.000 – ჩაიზი, 100.000 – უილსონი.



● ახალგამოსულ ფოტოაპარატებს „კოდაკსა“ და „ქენონს“ უფასოდ ერთვოდა ფოტოაპარატებზე ოთხჯერ სქელი წიგნი – „მოხმარების ინსტრუქცია“.

● ნიკოტინის, უფრო სწორად, თამბაქოს მავნებლობის წინააღმდეგ პირველად წმინდა ინკვიზიციამ გაილაშქრა. 1624 წელს რომში პაპმა ურბან VII-მ გამოსცა ბულა, რომლითაც ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა ყველას, ვინც კი თუთუნს დაყნოსავდა. პონტიფიკს მიაჩნდა, რომ თუთუნის ყნოსვა სექსუალურ ლტოლვას აძლიერებდა. გავიდა რამდენიმე საუკუნე და ურბან VII-ს მიმდევრები გამოუჩნდნენ ნაცისტის სახით. მესამე რაიხის სწავლულებმა დაადგინეს კავშირი მოწევასა და სიმსივნურ დაავადებებს შორის, ამიტომ თამბაქო აიკრძალა.

● შუა აზიაში ბიჭის დაბადებისას 40 ხეს რგავენ იმ რწმენით, რომ მისი დაქორწინებისას სახლის ასაშენებელი მასალა ექნებათ.

● იშვიათია თანამდებობა, რომელიც კოლექტივის ხელმძღვანელია, მაგრამ გაცილებით მეტი უფლებები აქვს, ვიდრე სხვებს: მას შეუძლია შეუმციროს საკვები ულუფა მთელ კოლექტივს და ცალკე წევრს, დააპატიმროს, რეგისტრაციაში გაატაროს სიკვდილი, ქორწილი ან დაბადების დღე და ეს თანამდებობა გემის კაპიტანია.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6651 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4176 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6790 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9888 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5141 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1163 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0886 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0309 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5764 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +21 – +34 |
| ქუთაისი. | +21 – +31 |
| ბათუმი. | +22 – +29 |
| ზუგდიდი. | +22 – +31 |
| თელავი. | +22 – +32 |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– როდის უდგება მოწიფულ მამაკაცს გარდამავალი ასაკი?
– როცა ის ცოლის საწოლიდან საყვარლის საწოლში გადადის.

* * *

– სქესობრივი კავშირი ხშირად გაქვთ?
– არა, ექიმო, არასდროს! – თუმცა ერთხელ, ტუალეტში გასვლა რომ მომინდა, ბუჩქზე რაღაცნაირად მოუხერხებლად დავჯექი და ქალწულობა დავკარგე...
– ჰმ, უთხარით იმ ბუჩქს, რომ ორივე თვის ორსული ხართ...

* * *

ორი დაქალი საუბრობს:
– შენ რას იზამდი, გავყვებოდი ჩემს ადგილზე გიორგის ცოლად?



– შენ ადგილზე ცოლად ნებისმიერს გავყვებოდი.

* * *

– ძვირფასო, ადრე მეუბნებოდი, რომ მე შენთვის მთელი სამყარო ვარ.
– მაშინ გეოგრაფიაში მოვიკოჭლებდი.

* * *

ზუგდიდელი მეგრელი ეკითხება თბილისელ მეგრელს:
– მეგრული თუ იცი, გენაცვალე შენ?
– არა, უპასუხა თბილისელმა.
– ხოხ, – გაიკვირვა ნაღდმა მეგრელმა, – რა, ტყეში გაიზარდე, მაგალითად?

* * *

– ჭიჭიკია, ბოლოჯერ გეკითხები, როდის დამიბრუნებ ვალს?
– ვაა, როგორ გამახარე ამ კითხვით ბუჯო, ბოლოჯერ რომ მისვამ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24